# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 14 მაისი, 2011 წელი.

№89 (6700)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




3

გუგაზ სანიკიძე:

## რატომ აქვს ხელისუფლებას „პირველი ღამის უფლება“ და ოპოზიციას - არა?!

მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი:



## ქართველი ერი დაუმარცხებელია და ასე იქნება მანამ, სანამ მას სჯერა ქრისტიანობის და მისი სასულიერო იერარქებისა

2

## ქართველთა ჯოჯოხეთი ამერიკაში



5

ჩვენი მწარე სინამდვილე

ცენტრ პოინტ ჯგუფი

## „ცენტრ-პოინტმა“ ტყაპანიღო...



9

ხალხს ბინებს ჰპირდებოდნენ და „ჰაერს“ ასყიდებდნენ!



10

## ამ ისტორიულ გამარჯვებას დავიწყება არ უწერია

## რადიკალური ოპოზიცია აქციებზე მოსკოვის სავარაუდო მხარდაჭერის იმედით მიდის

3

## ამერიკული იარაღის სახიფათო ძიება საქართველოსთვის



8

## ლარი – დოლარი: აიწონა თუ დაიწონა?..

9

მიკოლა ბაჟანი

## სიკვდილი ნიკო ფიროსმანაშვილისა



7



2

## „კავკასიის მუსლიმთა სამმართველო“ „საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ შექმნით უკმაყოფილოა

სულიერება

## მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი:

# ქართველი ერი დაუმარცხებელია და ასე იქნება მანამ, სანამ მას სჯერა ქრისტიანობის და მისი სასულიერო იერარქებისა



**მახათას მთაზე ივერიის ღვთისმშობლის ტაძრის საფუძვლის ჩაყრის საზეიმო ცერემონიაზე მყოფი რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი, სერგი რადონეჟელის ლავრის მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიესალმა და ილია მეორე სრული რეგალიით მოიხსენია, რასაც დამსწრე საზოგადოების ტაში მოჰყვა.**

„მინდა, გადმოგცეთ თქვენი თანამოძმის, პატრიარქ კირილის მოკითხვა და სურვილი, რომ ეს ღვთისნიერი საქმე წარმატებით დასრულდეს და ჩვენ ყველანი ამ საოცრების მოწმენი გავხდეთ. ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის ცნობილია ორი ადგილი ღვთისმშობლისა – ათონის მთა და საქართველო, იგივე კურთხეული ივერია. საქართველო არის ქვეყანა, რომელმაც სხვადასხვა დამპყრობლების მცდელობების მიუხედავად, ქრისტიანობა შეინარჩუნა. ერთ დროს მთელი კავკასია ქრისტიანული იყო, თუმცა ბევრმა სარწმუნოება შეიცვალა, საქართველო კი ქრისტიანობის ერთგული დარჩა. ღმერთს უყვარს საქართველო!“ – ბრძანა მთავარეპისკოპოსმა თეოგნოსტმა.

მან ილია მეორეს პირადად მიმართა და აღნიშნა, რომ „ის არის მაგალითი ქრისტიანული ცხოვრებისა“.

„იესო ქრისტემ ბრძანა, რომ მოვიდა ამ ქვეყნად, რათა არა მას ემსახურონ, არამედ თავად ემსახუროს. თქვენ მაგალითი ხართ ასეთი მსახურებისა. თქვენ არ გაქვთ პირადი ცხოვრება და თქვენი ეკლესიის, ქართველი ხალხისა და საქართველოს ცხოვრებით ცხოვრობთ. ეს ყველა ჩვენგანისთვის მაგალითია. ყველაზე დიდი ვაჟკაცობაა, მსახურებდე დამცირების გარეშე. დიდად მადლობელი ვარ, რომ დღეს ამ ღონისძიებაზე მომიწვიეთ და მონაწილეობა მივიღე ღვთისმსახურებაში, რომელზეც ვიხილე, რამდენად ძლიერია ღვთის მონების ლოცვა. ქართველები ძლიერი და ლამაზი ხალხი ხართ. ეს ერი დაუმარცხებელია და ასე იქნება მანამ, სანამ მას სჯერა არა მარტო ქრისტიანული სარწმუნოების, არამედ მისი სასულიერო იერარქებისა“, – დასძინა თეოგნოსტმა.

აღსანიშნავია, რომ მახათას მთაზე შეკრებილ მრევლს მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელმა ირინეოსმაც მიმართა.

**ნინო ჩიჩუა**

დავა

# „კავკასიის მუსლიმთა სამმართველო“ „საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ შექმნით უკმაყოფილოა

**როგორც აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ ცენტრი საბჭოთა კავშირის დროიდან ბაქოში მდებარეობდა, თუმცა ახლა ის საქართველოში მცხოვრებ მუსლიმებზე კონტროლს კარგავს და მოსკოვის საპატრიარქოს მსგავს სიტუაციაშია, რომლისგანაც მრევლი გარბის“.**

„ჩვენ საქართველოში „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ მსგავსი სტრუქტურის შექმნას უარყოფითად ვაფასებთ. სამმართველოს ხელმძღვანელობა ყოველთვის ბაქოში იყო და აზერბაიჯანელებისგან შედგებოდა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით, „საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს“ ხელმძღვანელობაში არც ერთი აზერბაიჯანელი არ არის“, – განაცხადა „კავკასიის მულიმთა სამმართველოს“ წარმომადგენელმა საქართველოში ალი ალიევმა და დასძინა, რომ „აზერბაიჯანელები აღნიშნულ სტრუქტურაში მეორეხარისხოვან თანამდებობებს იკავებენ“.



შეგახსენებთ, რომ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო“ გასულ კვირას დაფუძნდა. მისი შექმნის მიზეზად მუსლიმანური საზოგადოების საქმიანობისა და მეჩეთების კონტროლი დასახელდა.

აღნიშნული ფუნქციები მანამდე „კავკასიის მუსლიმთა სამმართველოს“ ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანთა დიდი ნაწილი აზერბაიჯანელია, თუმცა არის მეორე ნაწილიც, რომელიც ძირითადად აჭარაში მცხოვრები მუსლიმებისგან, ასევე აღნიშნული სარწმუნოების აფხაზებისგან, ჩეჩნებისა და სხვა ეთნიკური წარმოშობის მოქალაქეებისგან შედგება.

**ნინო ჩიჩუა**

განცხადება

# ქართული საზოგადოება – საშიშ მიჯნასთან

**ჩვენ დიდხანს მოთმინებით ვაკვირდებოდით საარჩევნო გზით ხელისუფლების შეცვლის მომხრეთა და მოვლენების რევოლუციური სცენარით განვითარების მსურველთა დისკუსიას. ვცდილობდით, ობიექტურად გაგვერკვია მხარეთა არგუმენტები, მომავლის ხედვა და სტრატეგიული გეგმის მონახაზი. დისკუსიამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შეიძინა და გამოიკვეთა ქვეყნის მომავლისათვის რეალური ხიფათის შემცველი ტენდენცია, რაც ჩვენი პოზიციის მკაფიოდ გამოხატვისკენ გვიბიძგებს.**

კურსი, რომელიც „ქართული პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი ოქრუაშვილმა თავის სატელევიზიო გამოსვლაში გააცხადა, დიდი ალბათობით, დაგვაკარგვინებს ცივილიზებული სამყაროს მხრიდან ამ ბოლო ხანებში აშკარად გამოკვეთილ მხარდაჭერას და გვიტოვებს იმ ერთადერთ „პარტნიორს“, რომელიც მეგობრობს კუბის, ჩრდილოეთ კორეისა და სხვა მსგავს რეჟიმებთან.

ადამიანებს, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წინ აქციების გამართვას გეგმავენ, ცხადია, არავითარი იმედი არა აქვთ, რომ მათს ამ აქციას გაგებით მოეკიდება ცივილიზებული სამყარო. უეჭველია, ეს ყველაფერი ხელს აძლევს სააკაშვილის ხელისუფლებას, რომელიც, დღიდან მოსვლისა, ცდილობს, დასავლეთის თვალში საკუთარი თავი წარმოაჩინოს როგორც რეგიონში ერთადერთი რაციონალური, დასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკურმა ძალამ. საშინაო მოხმარებისათვის კი ხელისუფლება ამგვარ განცხადებებს გამოიყენებს მთელი ოპოზიციური სპექტრის დისკრედიტაციისა და მასთან იოლი ანგარიშსწორებისათვის.

პიროვნება, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევას რევოლუციის გზით გვპირდება, სხვა ქვეყნიდან არ უნდა ემუქრებოდეს ადამიანებს, რომლებიც მის აზრს არ ემხრობიან. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი ადამიანი გამარჯვების შემთხვევაში იოლად შეძლებს ქვეყანაში ახალი ავტორიტარიზმის დამყარებას.

მოვუწოდებთ საზოგადოებას, უფრო თამამად და ღიად გამოთქვას თავისი აზრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასპარეზი პოლიტიკურ დემაგოგებს მიეცემათ. საქართველოში მოვლენათა რევოლუციური განვითარების მომხრე შეიძლება იყოს ერთადერთი სახელმწიფო და ეს სახელმწიფო რუსეთია. რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული ექსპერტები კი უკვე დიდი ხანია ადგენენ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფისა და მისი შემდგომი დეზინტეგრაციის გეგმებს.

დასანანია, რომ ამ სახიფათო კურსის პროპაგანდაში ისეთი ადამიანებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი, რომლებისგანაც გაცილებით უფრო გონივრულ და ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას ველოდით.

„ქართული აკადემია“
„კავკასიის საზოგადოებრივ სტრატეგიათა ინსტიტუტი“
12.05.2011.




გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

გვერდიდან მოცქირალი ოპოზიცია



# გუბაზ სანიკიძე: რატომ აქვს ხელისუფლებას „პირველი ღამის უფლება“ და ოპოზიციას - არა?!

## ფორუმელებს სამოქალაქო დაპირისპირების ეშინიათ

**შეიძლება ითქვას, რომ „ეროვნულ ფორუმს“ ამ ბოლო დროს პასიურობა დასჩემდა. რამდენიმე თვის წინათ ლიდერები აცხადებდნენ, რომ ისინი პარტიულ მუშაობას გააძლიერებდნენ, განსაკუთრებით რეგიონებში. ამ განცხადებას მოჰყვა კიდეც ერთი-ორი გამოსვლა რამდენიმე რაიონში, ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ბრძოლის ჟინით ანთებული ფორუმიც „რვიანის“ ეგიდით საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად ხელისუფლებასთან დიალოგის რეჟიმში უკან მოუხედავად გადაეშვა.**

არავითარი რევოლუციური ცვლილება, რადიკალიზმი, – ასეთია დღეს ფორუმის ლიდერების პოზიცია, მაშინ, როცა, 2009 წლის გაზაფხულის აქციებზე ყველაზე მეტი ფორუმის ბაირაღი ფრიალებდა, სხვაგვარი იყო მათი პოლიტიკური პათოსიც.

მას შემდეგ, რაც ოპოზიციაში აშკარა დაპირისპირება თვალნათელი გახდა და როცა, ყველა აქცენტს გადამწყვეტ ეტაპზე აკეთებს, „ITV“-ის პრესკლუბში **გუბაზ სანიკიძემ** გადაჭრით და კონკრეტულად განაცხადა, რომ მისი პარტია აქციებს არ შეუერთდება, არც სახალხო კრებისას და არც „ქართული პარტიისას“, არადა პირველთან ფორუმმა გაერთიანებაც კი სცადა, თუმცა არ გამოუვიდა. ამ გადასახედიდან პოლიტიკოსი თამამად ამბობს, რომ ამაში სუბიექტური მიზეზი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ობიექტური. შესაძლოა, მაგრამ, როცა „ფორუმმა“ სახალხო კრებასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა, მაშინაც ისე, როგორც, ახლა ბრძოლის მათეული გზა რევოლუციამდე მიდიოდა. ასე რომ, თუკი მაშინ მისაღები იყო რადიკალური მეთოდები, ახლა ფორუმის მიდგომები აშკარად რატომ შეიცვალა?!

**„როგორ განვითარდება მოვლენები ქვეყანაში, ეს ხელისუფლების გადასაწყვეტია. მან უნდა გააკეთოს არჩევანი: უნდა რევოლუცია თუ უნდა არჩევნები! ასე რომ, ხელისუფლებამ ინერვიულოს, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ, რომელიც მისი პარტიიდან მეორეხარისხოვანი პირების „სახალხო კრებასთან“ თანამშრომლობას აბსოლუტურად გამორიცხავს.**

რაც შეეხება ხელისუფლების და კერძოდ, პრეზიდენტის განწყობას, ფორუმელი ამბობს, რომ ის სიტუაციის არაადეკვატურია. **„სააკაშვილი ქართული პოლიტიკის ანაქრონიზმია, ის არც ერთ პოლიტიკურ ცენტრს არ აძლევს ხელს. თითქოს არ იმჩნევს, რომ თავადაც ბევრს ფიქრობს იმაზე, თუმცა წასვლის კონკრეტული მექანიზმი არა აქვს. ჩემი აზრით, 15-20 წელიწადი კი არა, საერთოდ წასვლას არ აპირებს. ეს ქართველ ხელისუფალთა სენია: მოდიან ხელისუფლებაში და სიკვდილამდე გეგმავენ დარჩენას...“**

როგორც ვიცით, ოპოზიციური „რვიანის“ ბოლო ვადა მაისია, თუმცა ფორუმი ამ პროცესს გაცილებით მშვიდად ადევნებს თვალყურს. მაინცდამაინც პრეზიდენტისგან დათმობებს არ ელიან, მაგრამ უარიც და თანხმობაც შედეგია, მიაჩნიათ პარტიაში. **„რვიანი“ ფიქრობს მაისის შემდეგ განვითარებულ სიტუაციაზე, რა იქნება მერე? საარჩევნო პროცესს მხარდაჭერა აქვს დასავლელი პარტნიორებისგან, მაგრამ არა აქვს ქვეყნის შიგნით. ამიტომ მუშაობა სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს. ხალხისთვის ეს პროცესი გასაგები უნდა გახდეს და ასევე უნდა დავუმტკიცოთ, რომ სწორედ ესაა გამოსავალი“,** – აღნიშნა სანიკიძემ.

და მაინც, თუკი მოვლენები რევოლუციური სცენარით განვითარდება? **„წინ ძალიან საინტერესო და მძიმე დღეები გველოდება, ამიტომ ყოველდღიური გადაწყვეტილებების რეჟიმში ვიქნებით, – ამბობს ფორუმის ლიდერი, – საზოგადოება შეიძლება ორად გაიყოს, სამოქალაქო დაპირისპირებაც დაიწყოს, ამიტომ საქართველოს კიდევ ერთხელ მოუწევს ბეწვის ხიდზე გავლა. არ არის გამორიცხული ამ არეულობაში სხვა ქვეყნის ჩარევა და ამაში მარტო რუსეთს არ ვგულისხმობ, თუმცა კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“.**

ფორუმი აშშ-ის საელჩოსთან გამართულ აქციებს არავითარ შემთხვევაში არ შეუერთდება, პირიქით, ასეთი გადაწყვეტილება მცდარ არჩევნად მიაჩნია: **„თეთრ სახლში ვითარება კარდინალურად შეცვლილია. საგარეო ფაქტორები მომგებიანია ქართული სახელმწიფოსთვის და ეს შანსი უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ არასოდეს გვქონია ასეთი რეალური შანსი ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ,** – აღნიშნა სანიკიძემ, **– პოლიტიკურ ბრიყვებს ვერავის დავარქმევ. მაგრამ ეს არის „ქართული პარტიის“ შეცდომა.“**

დაანონსებულ რევოლუციებსაც ფორუმის ლიდერი უარყოფითად აფასებს, თუმცა დიდ უბედურებას ვერც ამაში ხედავს. შეიძლება ამ პროცესებითაც ერთი მეორეს ხარჯზე უფრო გაძლიერდეს, ვარაუდობს ის. რაც შეეხება რუსულ ფულს, რომელიც ოპოზიციის ბოლოდროინდელი ყველაზე მკვეთრი დაპირისპირების საბაბი გახდა, გუბაზ სანიკიძე კონკრეტულ კომენტარს ვერ აკეთებს. **„ერთი დოლარი ვერ ვნახე რუსული ფულიდან ხელისუფლების მხრიდან ამოღებული, ასე რომ, ეს თემა აქტუალურიც კი არ არის. სოზარსაც და უსუფაშვილსაც დიდ პატივს ვცემ... პოლიტიკა ასეთი შეხვედრებით კეთდება, თუკი ალასანია ლავროვს შეხვდა, ამაში ცუდი არაფერია, რაც შეეხება დაფინანსებას, არაფერი ვიცი – რა გითხრათ, როგორ გითხრათ“.**

„რვიანში“ თურმე ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ ფორუმელები, შანსი რომ იყოს, რუსეთთან მოლაპარაკების დაწყების, აუცილებლად გამოიყენებდნენ: **„სააკაშვილი პუტინის გვამში შეძრომას აპირებს, მაგრამ არაფერი გამოსდის. მერაბიშვილიც ჩუმ-ჩუმად ხვდება რუსებს. ცდილობენ ურთიერთობის აღდგენას ფარული გზებით... ხელისუფლებას ლამის „პირველი ღამის უფლება“ თუ აქვს, რატომ არის იმავეს კეთება აკრძალული ოპოზიციისთვის?! ამ აგენტომანიას თავი დავანებოთ, რადგან ეს ხალხში უკვე აღარ ჭრის“.**

„რეალტივის“ ჟურნალისტის შეკითხვას, რა საერთო აქვთ ოქრუაშვილსა და გიორგაძესო? მან ძალიან არაკორექტული უწოდა. „ორივე დედამიწაზეა დაბადებული და ორივე არის ქართულ პოლიტიკაში – ეს საერთო ნამდვილად არისო.

გუბაზ სანიკიძის აზრით, არათუ გიორგაძესა და ოქრუაშვილს, ოპოზიციასაც კი ერთი საერთო აქვს – ხელისუფლების დემონტაჟი, უბრალო ინტერესთა თანხვედრა არ მოხდა. ეს არ არის ორი რადიკალურად განსხვავებული ძალა, მაგრამ ეს არის ერთი გზის ორი ფრთა, – ამბობს სანიკიძე, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, რაღაც ეტაპზე მათ გაერთიანებას არ გამორიცხავს.

**თეა მოსია**

ხედვა მოსკოვიდან

# რადიკალური ოპოზიცია აქციებზე მოსკოვის სავარაუდო მხარდაჭერის იმედით მიდის



**საქართველოში ოპოზიციის გააქტიურებისა და რუსეთში მედვედევ-პუტინს შორის დაპირისპირების სავარაუდო შედეგებზე, „ინტერპრესნიუსი“ რუსეთში მცხოვრებ ქართველ მკვლევარს, პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატსა და „ეჟედნევნი ჟურნალის“ მიმომხილველს, ავთანდილ წულაძეს ესაუბრა.**

**– ბატონო ავთანდილ, რადიკალური ოპოზიცია საქართველოში პროცესების რევოლუციური სცენარით განვითარებას იმედოვნებს. ნინო ბურჯანაძემ და მასთან ასოცირებულმა „სახალხო კრებამ“ რევოლუციის თარიღად 21 მაისი დაასახელა. ჯერ გაურკვეველია „ქართული პარტია“ იმ დღეს რას მოიმოქმედებს, მაგრამ „ქართული პარტიის“ ლიდერთა განცხადებებს თუ გავაანალიზებთ, ისეთი პირი უჩანს, რომ 21 მაისს მათი აქტიურობაც არ არის გამორიცხული. მოსკოვიდან როგორ ჩანს ყველაფერი, რაც ჩვენთან ხდება?**

– რაც საქართველოში ხდება, მარტო მოსკოვში მცხოვრებ ქართველებს, ანაც იმათ აინტერესებთ, ვინც საქართველოს თემაზე მუშაობს. რუსულ საინფორმაციო სივრცეში ეს პროცესები პრაქტიკულად არ ჩანს. რუსული საინფორმაციო საშუალებები ხანგამოშვებით ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ აქტივობაზე ამახვილებენ ყურადღებას. ხშირად, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეზე ინფორმაცია იმ კუთხით ვრცელდება, რომ სააკაშვილს ბურჯანაძის სახით ისეთი ძლიერი ოპოზიცია ჰყავს, რომ არ არის გამორიცხული, პრეზიდენტი სააკაშვილი სწორედ მან გაისტუმროს პოლიტიკური არენიდან. იმის გათვალისწინებით, რომ სააკაშვილი პუტინის ბინ ლადენია, რუსულ საინფორმაციო სივრცეში სააკაშვილზე მხოლოდ უარყოფითი ინფორმაცია თუ ხვდება. რუსეთში საქართველოზე წვრილმანი ინფორმაცია იმის გამო არ ხვდება, რომ რუსეთი ახლა თავის საშინაო პრობლემებზეა კონცენტრირებული.

**– რამდენადაც ვიცი, თქვენ ყურადღებით ადევნებთ თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. გასაგებია, რომ სოციალური ფონი ქვეყანაში მძიმეა, მაგრამ მიიჩნევა, რომ ეს რევოლუციისთვის საკმარისი არ არის. გარდა ამისა, გამოითქმის მოსაზრება, რომ რადიკალური ოპოზიციის ორივე ფრთა კოორდინაციას ვერ შეძლებს და, შესაბამისად, დიდ რევოლუციურ ქარტეხილებს არ უნდა ველოდოთ. როგორია თქვენი შთაბეჭდილება საქართველოში მიმდინარე პროცესებზე?**

– ჩემი აზრით, კარგა ხანია, საქართველო თანდათან გამოდის რევოლუციური ციკლიდან. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელი რადიკალრევოლუციონერები, საქართველოში უკანასკნელი რევოლუციური კადრები არიან, ვინც ჯერ კიდევ პოლიტიკურ ასპარეზს შერჩა. როდესაც საქართველო 2013 წლის არჩევნებს გადალახავს და ეს არჩევნები მეტ-ნაკლებად დემოკრატიულად, ნორმალურად ჩაივლის, საქართველოში რევოლუციური ციკლი დასრულდება და საქართველოს ეყოლება არარევოლუციური გზით ხელისუფლებაში მოსული პირველი პრეზიდენტი. გახსოვთ ალბათ, რომ პრეზიდენტების გამსახურდიასა და შევარდნაძის ხელისუფლებები რევოლუციით შეიცვალა.

**– პრობლემაც ეს გახლავთ, რომ დღის წესრიგში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებია. რადიკალური ოპოზიცია აცხადებს, რომ სააკაშვილი არჩევნების გზით ძალაუფლებას არ დათმობს, საარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შესატანად ხელისუფლება-ოპოზიციას შორის მიმდინარე კონსულტაციებზეც ჯერ რაიმე ხელშესახები წინსვლის ნიშნებიც არ შეინიშნება...**

– თუ საკითხს უფრო გლობალურად შევხედავთ, მთავარია, საქართველო რევოლუციური ციკლიდან გამოვიდეს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნები ნორმალურად ჩატარდა და საქართველოს ახალი პრეზიდენტი რევოლუციის გზით არ მოვა ხელისუფლებაში. ამის შემდეგ ქვეყანაში ისეთი, მეტ-ნაკლებად ნორმალური პოლიტიკური ასპარეზი ჩამოყალიბდება, როგორც ეს უმრავლეს დემოკრატიულ ქვეყნებშია.

**– 2013 წლამდე 2 წელია, ახლა, ყოველ შემთხვევაში, განცხადებების დონეზე რევოლუციური განწყობები საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რეალურად არსებობს და თუ პროცესებმა უმართავი ხასიათი მიიღო, სულ მცირე ლოკალური სამოქალაქო დაპირისპირება არ გამოირიცხება...**

– მესმის, რომ გარკვეული შეხლა-შემოხლა არ გამოირიცხება, მაგრამ ხელისუფლებისთვის ყველაზე სახიფათო 2009 წლის გაზაფხულის აქციები იყო. საქართველომ ეს პერიოდი გაიარა. მაგრამ მაინც მგონია, რომ 2009 წლის საპროტესტო მუხტი დალმა სვლის პროცესშია. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ იმოქმედებს ხელისუფლება და საზოგადოება, რომ ქვეყანაში 2012-2013 წლების არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს. სწორედ ეს უნდა იყოს როგორც ხელისუფლების, ისე საზოგადოების უმთავრესი ამოცანა. რადიკალურმა ოპოზიციამ და საზოგადოებამ ისეთი ექსტრემისტების როლი არ უნდა შეასრულონ, რომელიც ქვეყანაში დესტაბილიზაციას გამოიწვევს.

**– რადიკალური ოპოზიციის გააქტიურებაზე ხელისუფლების პასუხი ამგვარია – „მოსკოვში დაწერილი სცენარით საქართველოში პროცესები არ განვითარდება“. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა, რომ რადიკალური ოპოზიცია რუსეთის გარკვეული წრეების მიერ ფინანსდებოდეს ანაც მოსკოვში დაწერილი სცენარით მოქმედებდეს?**

– როგორც წესი, ასეთი ინფორმაცია არ ქვეყნდება და, შესაბამისად, ამგვარი რამ რომც იყოს, მე არ მეცოდინებოდა. ჩემი აზრით, რადიკალურ ოპოზიციას რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხარდაჭერის იმედი აქვს. შესაძლოა, რადიკალურ ოპოზიციას ასეთი გათვლები ჰქონდეს – თუ ისინი საქართველოში ვითარების რეალურად არევას შეძლებენ, მაშინ მათ მოსკოვიდან მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეთ.

იხ. 4 გვ.

რეგიონი

# „სახალხო კრების“ სამეგრელოს ორგანიზაცია დღედაღამ მუშაობს

ზუგდიდის ცენტრში განთავსებულ „სახალხო კრების“ სამეგრელოს ორგანიზაციას ყოველდღიურად აკითხავს საზოგადოების სხვადასხვა ფენისა და ასაკის წარმომადგენელი ინფორმაციის მისაღებად. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის ქალბატონ ზამირა ღადუას განცხადებით ისინი მუშაობის 24-საათიან რეჟიმზე არიან გადასულნი. „მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა. განზრახული გვაქვს ყველა ოჯახში მივიდეთ და გავაცნოთ ჩვენი გეგმები და მიზნები. მოსახლეობას ჩვენი იმედი აქვს, ჩვენც გვაქვს მათი იმედი, ამიტომაც ყოველნაირად ვცდილობთ ეს იმედები გამართლდეს“ თქვა ქალბატონმა ზამირამ. ხელისუფლებისგანაც ველოდებით პროვოკაციებს, ხალხი მოდის და გვეუბნება თუ რა გააკეთონ, სად შეიკრიბონ. ვიცით, რომ ხელისუფლება ყოველნაირად დაბლოკავს ჩვენი მხარდამჭერების თბილისში ჩაყვანას, ამიტომაც თადარიგს ვიჭერთ, რომ მოხერხდეს მათი თბილისში ჩასვლა“ – დასძინა ზამირა ღადუამ.

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ხედვა მოსკოვიდან

(მესამე გვერდიდან)

# რადიკალური ოპოზიცია აქციებზე მოსკოვის სავარაუდო მხარდაჭერის იმედით მიდის

ჩემი აზრით, რადიკალური ოპოზიცია აქციებზე მოსკოვის სავარაუდო მხარდაჭერის იმედით მიდის. რაც შეეხება იმას, აქვს თუ არა რადიკალურ ოპოზიციას რუსეთის ხელისუფლების ფინანსური და პოლიტიკური მხარდაჭერა ახლა, პირადად მე არა მგონია.

**— მედვედევ-პუტინის დაპირისპირება სულ უფრო ცხადი ხდება. ბევრი მიიჩნევს, რომ მათ შორის არსებული დაპირისპირება კრემლის ერთიანი სტრატეგიის ნაწილია. მაგრამ სულ უფრო ცხადი ხდება, რომ პუტინი ინიციატივას სულ მეტად იღებს ხელში და ამის ფონზე, მედვედევი თითქოს ამას შეეგუა, მაგრამ დროდადრო წინააღმდეგობას უწევს. გასაგებია, რომ საქარველოსთვის პრაქტიკულად სულერთია, ვინ იქნება რუსეთის პრეზიდენტი, მაგრამ თქვენი აზრით, რა ხდება რუსეთის უმაღლეს ეშელონებში?**

— იმ დროს, როცა საქართველო რევოლუციური პიკიდან გამოდის, რუსეთი ამ ციკლში შედის. ეს იმით არის გამოწვეული, რომ რუსეთმა რეფორმების გატარება დააგვიანა. პუტინის მმართველობის დროს რეფორმები პრაქტიკულად გადადებული იყო. მას რეიტინგის ვარდნის ეშინოდა და ქვეყანაში რადიკალური რეფორმები არ გაუტარებია. ე.წ. სტაბილიზაცია რუსეთში ნავთობზე ფასი ზრდის ხარჯზე მოხდა. მაგრამ ის პრობლემები, რომელიც რუსეთის გარდამავალ ეკონომიკაში, სოციალურ სფეროში და იდეოლოგიაში იყო, არც ერთი არ გადაჭრილა და მომავლისათვის გადაიდო. ახლა, დაგროვილი კრიტიკული მასა ელიტებს უფრო რადიკალურ სცენარებზე წასვლისკენ უბიძგებს. ამ ფონზე ელიტის გახლეჩვა და სახელმწიფო კაპიტალიზმის მომხრეებსა და გლობალისტებს შორის დაპირისპირება სახეზეა. სახელმწიფო კაპიტალიზმს პუტინი და მისი გუნდი უჭერს მხარს, ხოლო გლობალისტების გუნდს მედვედევი ლობირებს.

**— თქვენი აზრით, რუსეთში ვისი გამარჯვებაა უფრო სავარაუდოა — სახელმწიფო კაპიტალიზმის მხარდამჭერების თუ — გლობალისტების?**

— თუ მათ რესურსებს შევადარებთ, რა თქმა უნდა, პუტინის დაჯგუფებას უფრო მეტი მატერიალური რესურსები აქვს. მედვედევის დაჯგუფება რესურსებით უფრო სუსტია, მაგრამ მათი პოლიტიკა პუტინის დაჯგუფებასთან ფსიქოლოგიურ ომში გამოიხატება. ისინი ცდილობენ ქვეყანაში გარდაქმნების პოლიტიკის გატარებას. ამის მაგალითია დესტალინიზაციის მცდელობა, მაგრამ რუსეთის ცენტრალურ არხებზე ყველგან ისევ სტალინს აჩვენებენ. მედვედევის გუნდი იდეოლოგიურ ფრონტზე ცდილობს წარმატების მიღწევას და იდეოლოგიურ ასპარეზზე წარმატების მიღწევით ხელისუფლების ლეგიტიმურობის ეჭვის ქვეშ დაყენებას. ამას პუტინმა „სახალხო ფრონტის“ შექმნის იდეა დაუპირისპირა. პუტინი ცდილობს, თავი მოუყაროს „პატრიოტებს“, ყველა ჯურის ადამიანს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა გამოცდილების მსგავსად იგი „კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკს“ ქმნის. ლოზუნგი — нам никто не указ! და ისევ იზოლაციონიზმი, მათი დროშაა.



ამ ლოზუნგებს უფრო მეტი მხარდამჭერი იმის გამო ჰყავს, რომ რუსეთში ე.წ. ტრადიციონალისტები მეტი არიან, ვიდრე — გლობალისტები და ამ მხრივ პუტინის მხარდამჭერთა ბაზა უფრო დიდია. მაგრამ, საქმე იმაშია, რომ რევოლუციებს, ისევე როგორც პოლიტიკურ ცვლილებებს, არა უმრავლესობა, არამედ უმცირესობა ახორციელებს. უმრავლესობის პოზიციას პოლიტიკური მნიშვნელობა ყოველთვის არა აქვს. პუტინს მასობრივი, მაგრამ პასიური მხარდაჭერა აქვს.

პუტინის მხარდამჭერები ხელფასებისა და პენსიების გაზრდას ელოდებიან, მაგრამ ეს კატეგორია პუტინის მხარდასაჭერად მიტინგზე წამსვლელი არ არის. ახლა ვითარების გამწვავება და იდეოლოგიური კუთხით ელიტაში ძალების განცალკევების პროცესი მიდის, რაც კონკრეტულ ქმედებებშიც ვლინდება. თუ ეს მანამდე დაფარული იყო, ახლა ორივე დაჯგუფების მხრიდან ისეთი ნაბიჯები იდგმება, რაც მანამდე დაფარულს, ცხადს ხდის. კითხვა — ვინ — ვის? ჯერაც გაურკვეველია. ამ თვალსაზრისით კი მოგეხსენებათ, რუსეთი არაპროგნოზირებადი ქვეყანაა.

**კობა ბენდელიანი.**

SIC!

# AMNESTY INTERNATIONAL-ის ანგარიში

**საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მთავარი პრობლემები რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაშვებული დარღვევების გამოძიება და იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებია. ამ პრობლემის შესახებ საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ის 2011 წლის ანგარიშშია ნათქვამი.**

საქართველოს ქვეთავის შესავალში აღნიშნულია — **„გრძელდება რუსეთ-საქართველოს ომის დროს ადამიანის უფლებათა დარღვევების საერთაშორისო სამართლის დონეზე გამოძიების პრობლემები. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების მიმართულებით პრობლემა კვლავ გადაუჭრელია“.**

ანგარიშის მიხედვით, მაისის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში, რომელიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა დადებითად შეაფასეს, ადგილი ჰქონდა ოპოზიციური კანდიდატების დევნასა და დაშინებას.

ზოგად მიმოხილვაში ნათქვამია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, რომელიც 2013 წელს შევა ძალაში, მცირდება პრეზიდენტის ძალაუფლება და იზრდება პრემიერისა და მთავრობის უფლებამოსილებები.

დოკუმენტში დაფიქსირებულია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ვითარების უცვლელობაც. ანგარიშის ავტორები აღნიშნავენ, რომ გალის რაიონში ადგილი აქვს სამოქალაქო პირების მიმართ ძალადობას, მკვლელობას, სროლას.

საქართველოში დაკავების დროს და პოლიციის განყოფილებებში ცუდი მოპყრობა პრობლემად რჩება. ამის შესახებ ორგანიზაცია Amnesty International 2011 წლის ანგარიშშია ნათქვამი.

თუმცა, აქვე აღნიშნულია, რომ ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოში წინასწარი დაკავების დროს მოქალაქეთა წამების პრევენციაში პროგრესი დააფიქსირა.

**„პოლიციელების უფლებამოსილება, მოქალაქე გააჩერონ და გაჩხრიკონ, გასული წლის 24 სექტემბერს შევიდა ძალაში. ადამიანის უფლებათა დამცველი ზოგი ადგილობრივი ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ კანონში ზუსტად არ არის განსაზღვრული, რა გარემოებებში შეუძლია პოლიციას ამ უფლების გამოყენება ან რა დროის განმავლობაში შეიძლება, ადამიანი იყოს ამ ქმედების ქვეშ“,** — ნათქვამია ანგარიშში.

დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ შეფერხდა 2009 წლის აპრილს და აგვისტოში ნიღბიანი პირების მიერ პრეზიდენტის საწინააღმდეგო აქციების მონაწილეების დაშინების, ცემისა და დევნის ინციდენტების გამოძიება. აქვე დაფიქსირებულია, რომ ხელისუფლებამ ვერ შეძლო, ეფექტური გამოძიება ჩაეტარებინა იმ პოლიციელების ქმედებებზე, რომლებმაც 2009 წლის 6 მაისს დემონსტრანტების წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებების შედეგად რამდენიმე ადამიანი დააზარალეს.

ანგარიშის თანახმად, არ არის გამოძიებული თბილისში პოლიციის სამმართველოს შენობასთან 2009 წლის 15 ივნისს მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ პოლიციელების მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ყელში ამოსული

# დავძლიეთო კორუფცია — ყალბი ცნობა მოუცია?..

**გამოსვლას არ გაუშვებს ბატონი პრეზიდენტი, რომ „გაიმპროვიზებული“ ენა-პირით არ ახსენოს საქართველოში კორუფციის დამარცხება, ტურიზმის განვითარება (თავისი ბათუმით, ფოთით, ანაკლიით, მესტიით, გუდაურით, ბაკურიანით თუ სიღნაღით) ან ქვეყნის სინგაპურიზაცია (სხვაც არაერთი იდეა-ფიქსი უტრიალებს გახურებულ თავში, მაგრამ იმათზე სხვა დროს იყოს...).**

ახლაც კონკურსში გამარჯვებულ ბიზნესმენებს რომ შეხვდა კეკლუც ვერასთან ერთად, არ დაახანა და კორუფციას ვძლიეთ და ამას მთელს მსოფლიოში აღიარებენო, აჯახა (თავისქნევია ლამაზმანმაც, რასაკვირველია, კვერი დაუკრაძ.

ფიცი ვიწამო და ბოლო არ გავიკვირვო? არ გამოვა საქმე ასე. ამის ყოფა ვატირე, აგერ ხშირად რომ გვაუწყებენ სახელისუფლებო სტრუქტურებში სამი-ოთხი, რვა-ათი, ასე გასინჯეთ, თექვსმეტისაც კი მოხელის დაპატიმრების კაი მაღალი თანამდებობებისა (ზოგჯერ მინისტრის მოადგილემდეცძ და სწორედ ქრთამის გაცემა-აღების მიზეზითა და ფაქტზე — ეს არის კორუფციის დამარცხება? გარიგება-მორიგება-მოქრთამვა ფეხბურთშიც რომ შეღწეულა და ამ ნიადაგზე ფეხბურთელებიც კი დააპატიმრეს — ასეთ ქვეყანაშია კორუფცია აღმოფხვრილი?..

ქვეყნის პრეზიდენტი უცხოეთის ტელეარხებით თავის მოსაწონებლადა და საზღვარგარეთ გაზეთებში (ამერიკულის ჩათვლითძ ინტერვიუების გამოსაქვეყნებლად თურმე კაი გვარიან თანხებს რომ იხდის — ამას რა, კორუფცია არა ჰქვია? და ამის მერე, ჩემდათავად, არ შემირცხვენია ის უცხოური მედია, ამგვარ პირველ პირს რომ ხოტბას ასხამს და პირში შესციცინებს?..

კორუფციულ გარიგებებზე, დაკავებებსა თუ აყვანებზე რაც გასკდა, ტელეეკრანებზე გამონათდა და ვიცით, ხომ ვიცით, მაგრამ რაც არ ვიცით? იმდენი სიცოცხლე თქვენ და მეც, პატივცემულო „სრ“-ის მკითხველნო, რამდენი გაუხსნელი თუ გაუმჟღავნებელი კორუფციული აქტიცაა ჩადენილი ამ ბედკრულ ქვეყანაში! და კიდევ, ხელისუფალნი, თვით უმაღლესი ხელისუფლით დაწყებული, რომ ამდენ ფულს ანიავებენ ურიცხვ აფრენა-გაფრენა-ჩამოფრენაში, უსარგებლო საზღვარგარეთულ ვიზიტებში, ყველგან ცხვირის ჩაყოფაში, უაზრო ბრჭყვიალა შინაურ ღონისძიებებში — ამას რა, კორუფციაზე ნაკლები ზიანი მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისა და მისი „მდგრადი განვითარებისთვის“?

და „კიდევისკიდევ“, ძლიერნი ამა სუსტი ქვეყნისანი რომ ასე თავგადაკლულნი, გაფაციცებულნი, გაყოჩაღებულნი არიან საკუთარ კეთილდღეობაზე — ბინებით, სახლებით, სასახლეებით, აგარაკებით, მიწის ნაკვეთებით, სუპერხელფასებით, სუპერპრემიებით, შიგა თუ გარე ბანკებში გაბარებული ლარ-დოლარ-ევროებით, ბოლო მოდის ავტომობილებით, საზღვარგარეთ გაგზავნილი შვილებითა თუ შვილიშვილებით — და ეს ყველაფერი ამგვარად გასაცოდავებულ სოციალურ ფონზე, — ასეთი „მაჩვენებლით“ ნეტავ რომელ ადგილზე ვართ მსოფლიოში, კორუფციასთან ბრძოლის მაჩვენებელთან ერთად?..

**ბერდია ბედოიძე**

სიახლე

# ვატიკანის საცავებმა ქართველ მეცნიერებს კარი გაუღო

**ქართველ მეცნიერებს შესაძლებლობა ეძლევათ ვატიკანში დაცულ საქართველოზე არსებულ ყველა მასალას გაეცნონ. როგორც მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, საქართველოს მთავრობასა და ვატიკანს შორის მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და ქართველ მეცნიერებს უკვე შესაძლებლობა ექნებათ ვატიკანში წავიდნენ და საქართველოზე არსებულ დოკუმენტაციას გაეცნონ.**

გილაურის თქმით, ქართველი მეცნიერები ვატიკანში ივნისის ბოლოსთვის გაემგზავრებიან.

**— ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში აქტიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით ვატიკანთან, რათა შესაძლებლობა გვქონოდა ვატიკანის არქივებში დაცული დოკუმენტაცია გვენახა. მოლაპარაკებები დასრულდა და დღეიდან ქართველ მენციერებს შესაძლებლობა აქვთ ათასობით დოკუმენტი ნახონ, რომელიც საქართველოს შეეხება და ამ დრომდე ვატიკანში იყო დაცული და დღემდე იყო გასაიდუმლოებული. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა ბევრ ისტორიულ ფაქტს გავეცნოთ, რომელიც ჩვენთვის დღემდე ცნობილი არ იყო,** — განაცხადა ნიკა გილაურმა.

კულტურისა და ძეგლთან დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას განცხადებით, ანალოგიური პროექტი ამერიკის მთავრობამ უკვე განახორციელა და ამერიკელ მეცნიერებს ვატიკანში დაცული მასალების შესასწავლად და გასაანალიზებლად 13 წელი დასჭირდათ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს ისტორია სულ რაღაც 200 წელს მოიცავს.

**— საქართველოზე არსებული მასალები 800 წელს მოიცავს. პირველად XII საუკუნეში ვატიკანიდან საქართველოში იყვნენ გზავნილები - მისიონერები და ვატიკანში დაცული ინფორმაცია XII საუკუნედან XX საუკუნის ჩათვლით დოკუმენტაციას მოიცავს, რომელიც ჩვენთვის ამიერიდან იქნება ხელმისაწვდომი და ეს არის შანსი ჩვენთვის უცნობი დეტალების გამოვლინებისთვის. ეს ადამიანები არ იყვნენ მხოლოდ მისიონერები, არამედ ისინი იყვნენ პოლიტიკოსებიც ხელოვნებიც და ა.შ. ეს არის უნიკალური ზღვა მასალა და როგორც ადგილზე გვითხრეს, თავადაც შესწავლილი არ აქვთ,** — განაცხადა ნიკა რურუამ.

**ჯი-ეიჩ-ენი**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ქართველთა ჯოჯოხეთი ამერიკაში

# ႠႱႭႺႣႠႫႤႤႵႥႱႤ

ერთხელ ერთ სამსახურში ბებოსთან ამერიკელი ექთანი მორიგი ვიზიტით მისულა. მანანას ნამტირალები თვალები დაუნახავს და გაუმხნევებია: ასეთ მოხუცებს ვინც უვლის და აცოცხლებს, ის სამოთხეში მოხვდებაო. თქვენ ანგელოზი ხართო. ამ სიცოცხლეშივეო. ცოდვილ მიწაზევეო. რატომ ტირითო? მანანას უთქვამს, თვალები მტკივა, განა ვტირიო, ისე, ჩემი ორი ანგელოზი საქართველოში დავტოვეო...

კი, მანანა მოხუცების მფარველი ანგელოზი იყო. აქ ყველამ იცოდა მისი ანგელოზობის ამბავი. 5 წლის წინათ 80 წლის, ძვლად და ტყავად გადაქცეულ სიმსივნიან ბებოს უვლიდა. ამაში არაფერი იქნებოდა განსაკუთრებული, ერთი გარემოება რომ არა: სახლში ფსიქოპათი ბაბუაც ცხოვრობდა. 76 წლის. ამ მოხუცის ქმარი. „ვიაგრას“ სვამდა. ეგრევე უხამსი რამ „შესთავაზა“ მანანას. მანანამ ამათ შვილებს აცნობა. ისინიც საკუთარ მამას პოლიციითა და საავადმყოფოთი დაემუქრნენ. კაცი კომპიუტერში პორნოსაიტებს რომ ათვალიერებდა, მანანას მაინც დაუძახებდა ხოლმე, მოდიო, ერთად ვნახოთო. ეპატიჟებოდა. მანანა კი პასუხად ჯადოსნურ სიტყვათშეთანხმებას „911“-ზე დარეკვას გასძახებდა და „სიყვარულის გიგანტიც“ დროებით წყნარდებოდა. სამსახურები არ იყო და მანანა ფიქრობდა, სანამ გავძლებ, გავძლებო. თანაც ამ სამსახურის პოვნაში აგენტს ფული გადავუხადე, იმ ფულს უკან არავინ დამიბრუნებსო. ჰოდა, ერთ დღეს, დღისით, მზისით, როცა „თავის“ ოთახში 2 წუთით შეირბინა, უცებ ავადმყოფი ქალის ხრიალი მოესმა. ერთი კი გაიფიქრა, კვდება საწყალი, სამსახურს ისევ ვკარგავო და ოთახიდან დენდაკრული გამოვარდა. თუმცა რაც დაინახა, იმას როგორ არ მოჰყვა მისი მიკრო კი არა მაკროინფარქტი, დიდხანს უკვირდა. ბაბუას ქალისთვის „დაიპერსი“ გაეძრო და „ქმრის მოვალეობის“ შესრულებას დიდის ენთუზიაზმით შესდგომოდა. მანანამ კივილი და ყვირილი მორთო, ეს კაცი კი აქეთ უჩხაოდა, ჩემი ცოლია, რასაც და როცა მინდა იმას ვუზამო. საწყალი აგონიაში მყოფი ბებია კი ხრიალს განაგრძობდა. მანანამ სასწრაფოს გამოუძახა. ზედ პოლიციაც მოქანდა. არალეგალები პოლიციასთან ურთიერთობას ყოველთვის ერიდებიან. მაგრამ მანანა რისკზე წავიდა. ატყდა ერთი ამბავი და ვაი-ვიში. გული კი უსკდებოდა, საბუთი არ მომთხოვონო. მანანა დაკითხეს, მაგრამ კიდევ კარგი, საბუთი არ მოსთხოვეს. მოხუცების შვილები კი დაპირდნენ, გიჟი მამა საავადმყოფოშია, უკან სახლში აღარ დავაბრუნებთო. მაგრამ „გამოჯანმრთელებული“ კაცი ორ თვეში ისევ უკან დაბრუნდა. მანანამ ცრემლების ყლაპვით ბარგი ჩაალაგა და წამოვიდა. ნანობდა, თუ მაინც მოვდიოდი, დროზე მაინც წამოვსულიყავიო. თავს სიტყვა მისცა, რაც არ უნდა მოხდეს, პოლიციამდე საქმეს არ მივიყვანო. რაც უნდათ, ის ქნან, პატრონი გადაშენებიათო. მერე კი უმუშევარი დიდხანს იჯდა. ცხელ გულზე მერე იმასაც ნანობდა, რატომ წამოვედიო. ჩემი საქმე გავაფუჭე. უნდა მომეთმინაო. არ მეპატიება ასეთი „თავმოყვარეობაო“. თავმოყვარეობა კი არა, ამპარტავნებააო. რა პროტესტომანია ამიტყდა ამ ამერიკაში. ვის რაში სჭირდებაო. ვერ ავითვისე ერთი სიბრძნე, რომელიც სხვებმა ლამის დედის რძესთან ერთად „შეირგეს“. გამოხატული ერთ სიტყვაში „გაატარე“ ან „დაიკიდე“ და კიდევ სამ სიტყვაში „არაა ჩემი პრობლემა“...

მანანამ ჭკუა ვერ ისწავლა და ამიტომ პოლიციასთან ერთხელ კიდევ მოუხდა ურთიერთობა. იძულებული იყო საკუთარი თავისთვის მიცემული სიტყვა გაეტეხა. ერთხელ, უმუშევრობის ჟამს მანანამ ვიღაც ქართველი ქალი, რომელიც ერთ ამერიკელს, 103 წლის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბანკირის ცოლსა და ჟურნალის გამომცემელს უვლიდა, ერთი კვირით შეცვალა. მოხუცი ნიუ-იორკში მანჰეტენზე, ხუროთმოძღვრების ძეგლთა სიაში შეტანილ სახლში ცხოვრობდა. ამ ქართველმა მანანა ძალიან მკაცრად გააფრთხილა. რაც არ უნდა ნახო, ხმა-კრინტი არ დაძრაო. თუ გარეთ გაგიშვეს, წადი – ისეირნე, ყველაფერში დაემორჩილეო, ყველაფერზე თავი დაუქნიეო. ვითომ ბრმა, ყრუ და მუნჯი ხარო. ფული აიღე, ქუდი დაიხურე, ხელები დაიბანე და წადიო. თავი არაფერზე გამოიდოო. იმავე სახლში ამ ქალის ყოფილი ნარკომანი შვილი ცხოვრობს, შეურაცხადია, იმას არავისი და არაფერი ეკითხებაო. ამ ქალის ქონებას კი რაღაც თუ ვიღაც „უცნაური“ ადამიანების ჯგუფი განაგებს. ღმერთმა იცის, რა საქმეებს ატრიალებენო. არავის შეეკამათო, საქმე არ გაართულოო, არავის არაფერი უთხრაო. მანდ ამ ქალის ანდერძის ციებ-ცხელებაა, ვის რა შეხვდება იმას არკვევენ, აფორიაქებულები არიანო. ვიღაც კაცი მოვა. იმას ყურადღება არ მიაქციო, გაფრთხილებო. კონკრეტულად რისთვის არ უნდა მიექცია ყურადღება მანანას, ეს იმ ქალს არ უთქვამს. ის კი დაუბარა, აქვე ამერიკელ მეგობართან ვარ სტუმრად და თუ რაიმე დაგჭირდა, დამირეკეო. კიდევ და კიდევ გააფრთხილა, აუტკივებელ თავს ნუ აიტკივებო და წავიდა. ჰოდა, ვიღაც კაცი მართლაც მოქანდა, ოჯახის ახლობელი ვარო. მიუჯდა ამ მოხუცს და ხან ხელზე ეფერებოდა და ხან სად. დედაბერზე, როგორც მინიმუმი, ორჯერ უმცროსი მაინც იყო. მანანა არც კი მიაკარა. წამლის მიცემის დრო რომ მოვიდა, ამ კაცმა, მე მივცემო, შენ გადი, მანჰეტენი დაათვალიერეო. მანანა ახლა მიხვდა თუ რა უნდა მოეთმინა, რისთვის უნდა აერიდებინა დასაბრმავებელი, მაგრამ ჯერ არდაბრმავებული თვალი და გულიც. მაგრამ როგორი მოსათმენი იყო? ამ კაცს რამდენჯერმე შენიშვნა მისცა, მან, შენ ვინ გკითხავს, ვის დაკარგვიხარო? მანანამ ამ ქალის შვილის კარზე დააკაკუნა და იმან, არ შემაწუხო, რა გინდა, ვინა ხარო? შენნაირები აქ თვეში ათი მოდისო. მერე ამ გიჟმა სტუმარმა მანანას უბრძანა გარეთ გადი, დაისვენეო. მანანამ კი მიუგო: ამ ქალის „ჭყლეტის“ უფლებას არ მოგცემო. ეს ამ ქვეყანაში კრიმინალიაო. საქმე კი იმით დასრულდა, რომ ამ ფსიქოპათმა სადღაც დარეკა, მაშინვე ვიღაც ადვოკატი ქოშინ-ქოშინით მოქანდა, მანანას დაემუქრა, გაეთრიე აქედანო, ბრალი დასდო, გინდა თუ არა, ამ მოხუცის წამალი მოიპარეო და უნდა გაგჩხრიკოთო.



მანანა გაგიჟდა, ამის უფლება არა გაქვთო. პოლიციას გამოვიძახებ, ამერიკაში ვარ, თავისუფალ ქვეყანაში, ბოლო-ბოლოო. იმან სიცილი დააყარა. ვერ გაბედავ, მე იურისტი ვარო. მანანამ რაც მოასწრო ის იყო, რომ ამ ქართველ ქალს დაურეკა და პოლიციაც გამოიძახა. სანამ პოლიცია მოქანდა, უცებ საიდანღაც ამათი „ბანდის“ წევრი ვიღაცეებიც მოქანდნენ, ვიღაც ქალიც მოიყვანეს, რომელმაც მანანას განუცხადა, რომ გაჩხრეკვის უფლება ჰქონდა. მანანას ვერ მიეკარნენ, კივილი დაიწყო, მაგრამ ჩანთა კი წაართვეს და ჩხრეკა დაუწყეს. მანანამ „იმარჯვა“ და რაც მოახერხა ეს მობილური ტელეფონის ვიდეოთი იმის გადაღება დაიწყო, თუ როგორ ჩხრეკდა მის ჩანთას სამი ადამიანი. შეეშინდა, ე მანდ რაიმე არ ჩამიდონო, მართლა არ დავილუპოო. ეს რომ იმ ადვოკატმა დაინახა, მანანას თავს დაესხა, მობილური წაართვა და მთელი ძალით იატაკს დაანარცხა. დაიმსხვრა ტელეფონი. ამ დროს ის ქართველი ქალიც მოვიდა, როგორც კი დაინახა, რა ხდებოდა, ერთი კი უსაყვედურა ქართულად: მანანა, ხომ გაგაფრთხილე, შენ ვინ ყოფილხარ, ვინ გეკითხებოდა რამესო; ინგლისურად კი განაცხადა, მანანას კარგად არ ვიცნობ, ვინააო, ნეტავი აქ რა ხდებაო? ამასობაში პოლიციაც მოვიდა. მანანას გვარიანად შეეშინდა. დაინახა რომ ყველა მის წინააღმდეგ იყო. ქართველიც კი. არავინ დაიცავდა დედამიწის ზურგზე. პოლიციელები საქმეში „გაერკვნენ“, მანანას უთხრეს, „მემ, სახლში წადითო“, ჩანთა კი არ გაუჩხრიკეს, არამედ უბრალოდ დაუთვალიერეს; ურჩიეს, თუ რაიმე პრეტენზია გაქვთ, სასამართლოში იჩივლეთო და კარგი დღე უსურვეს. მანანას შეეშინდა, გატეხილი ტელეფონი ჯიბეში დამალა, მაინც არავინ არაფერს დამიჯერებსო და იმ ქართველ ქალთან ერთად ნიუ-იორკის ხუროთმოძღვრების ძეგლთა სიაში შეტანილი სახლიდან ხმაურიან მანჰეტენზე გამოვიდა. იმ ქართველმა ქალმა მოუბოდიშა, საქართველოში სამი შვილი მყავს და მოხუცი დედმამა სარჩენი, უკაცრავად, სხვას ვერაფერს ვიტყოდი. ეს ამერიკაა, ყველა ასე მოიქცეოდაო. უნდა გამოიყენო ეს ქვეყანა. აბა, რისთვის ჩამოდიო? მანანას ხმა-კრინტი არ დაუძრავს. ტირილ-ტირილით ნაქირავებ „სახლში“ დაბრუნდა. მერე ცოტა ხნით დადუმდა. საკუთარ თავში „წავიდა“. მეგობრებს და ნაცნობებს ხმას არ გვცემდა ყოველთვის ენაწყლიანი. შეგვაშინა. ავად გახდა... ანტიდეპრესანტები და ტრანკვილიზატორები მიუტანეს. ერთ თვეში გამომჯობინდა, სიტყვა მოგვცა, რომ თავის ცხოვრებაში „საპოლიციოს“ აღარაფერს ჩაიდენდა, იქნებოდა ჭკვიანი, ანუ „დამკიდებელი“ და ისევ დაიწყო სამსახურის ძებნა. მოძებნა კიდეც...

მანანა მისნაირ მანანებზე ბევრ ისტორიას მოგიყვებოდათ. ერთგვარი მემატიანე იყო. ბევრს იცნობდა. 12 წლის განმავლობაში, ბუნებრივია, ბევრი გაიცნო. მანანა ერთ თავის სეხნია მანანას, რომელსაც აქაურმა ქართველებმა „ჰაუსკიპერი“ (სახლის დამლაგებელი) შეარქვეს, ახლოს იცნობდა. ტრაგიკული ისტორია ჰქონდა ამ მანანა-ჰაუსკიპერს. საქართველოში მისი ქმარი „ზვიადისტი“ იყო და რას არ გადაურჩა, ხან სცემდნენ და ხან კლავდნენ. ოთხი წლის წინათ მოკვდა საწყალი. მანანას ერთი ვაჟი სამოქალაქო ომის დროს დაინვალიდდა. მერე ბინა გაყიდეს, რომ მისთვის ემკურნალათ, მერე ქმარი ლოგინად ჩავარდა, მერე ქალიშვილის ქმარმა რაღაც ბიზნესი წამოიწყო, სახლი ჩადო, მაგრამ მალევე წააგო და მთელი ოჯახი საცხოვრებლად მანანასთან გადავიდა. მერე მანანა ამერიკაში წამოვიდა, 3 წლის შემდეგ კი რამდენჯერმე „ასოციალურ-ფსიქოპათური ქცევისთვის“ პოლიციაში მოხვდა, იქიდან კი – საავადმყოფოში, ფსიქიატრიულში. მანანას მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი დაუდგინეს. მეგობრებმა უპატრონეს. თან გულის სიღრმეში ოცნებობდნენ, იქნებ საემიგრაციომ საქართველოში გაადეპორტოსო. არ გაუდეპორტებიათ, აქ მოკვდა და ისევ მეგობრების გადასასვენებელ-გასასვენებლი გახდა. რამდენჯერ სთხოვეს მეგობრებმა მანანას შვილებს, საქართველოში გამოვამგზავრებთო, იმდენჯერ იმათ ისტერიკა დაიმართეს, შიმშილით დავიხოცებით, აქ ვერ ვუმკურნალებთო, მანდ უფრო მოევლება მის დაავადებასო. მანანა ხან ვენებს იჭრიდა, ხან ოკეანეში ხტებოდა, ხან მანქანას უვარდებოდა. და ისევ პოლიციაში და საავადმყოფოში ხვდებოდა. ისევ მეგობრები და უცნობ-ნაცნობი მოწყალე ხალხის გამოისობით ამერიკული სახლების დალაგებისთვის „მზად“ იყო. როცა რემისიის პერიოდი ჰქონდა. „ჰაუსკიპერის“ სიკვდილის შესახებ მანანასგან შევიტყვეთ...

მანანას ორჯერ ჰქონდა შანსი, რომ მოხუც ბაბუას ოფიციალურად ცოლად გაჰყოლოდა და „აშენებულიყო“. იცნობდა აქ 40-50 წლის ქართველ ქალებს, ბაბუებს ან მათ ცოლებს რომ უვლიდნენ, ჰოდა, ამ ცოლების სიკვდილის შემდეგ, ბაბუები თავიანთ გულს, სახლს, ანდერძის მათ სახელზე გადაფორმებასა და მინიმალურ ვადაში მწვანე ბარათის აღებას რომ სთავაზობდნენ. ეს ქალებიც უარს არ ამბობდნენ. რატომაც არაო? ჰოდა, ასეა ამერიკაში მიმოფანტული ლამის ორჯერ უფროსი ბაბუა-ქმრებიანი ქართველი ქალები. ამ ბაბუებით საქართველოში ოჯახებს რომ არჩენენ, თავიანთი „ყოფილი“, მაგრამ ფაქტობრივი ქართველი ქმრებისა და მისიანების ჩათვლით. მანანა კი მტკიცე უარზე იყო. რანაირად, ეს როგორო? დასცინოდნენ, ყველაზე კარგი დაცვა და პატრონი – ქონებააო. ამერიკა უნდა გამოიყენო, ნეტავი შენ, აბა, იწანწალე მთელი ცხოვრება ძაღლივითო, ასეთი შანსი ყოველთვის კი არ მოგეცემაო. მანანა კი ბებიების გარდაცვალებას ცხარედ დაიტირებდა. ისე ცხარედ, რომ გარდაცვლილის ოჯახს უკვირდა, ნეტავ რამ დაამწუხრა, ავად ხომ არაა, რად იკლავს ასე თავს, არადა, არ ეტყობა, რომ თამაშობდესო. ერთხელ ვკითხეთ კიდეც მანანას ამ გულამოსკვნილი ტირილის მიზეზი და ასე გვიპასუხა: ჩემს თავსაც ვგლოვობ და იმ ჩემიანებსაცო, ვინც „უჩემოდ“ დასაფლავდაო. იმათაც ვტირიო, სამსახური საძებარი რომ მაქვსო, ამასაც ვტირიო, თანაც ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სად მაქვს იმის თავი, რომ ანდერძის შეცვლის გამო ამ ბაბუების შვილები და შვილიშვილები გადავიმტეროო. ეუბნებოდნენ, ეს ამერიკაა, ვერავინ გახლებს ხელს, ბებერი კი მალე მოკვდება და შენს გემოზე იცხოვრებო. შვილებს ჩამოიყვან, სოციალურად უფრო მაღალ საფეხურზე ახვალ, აღარ დაგჭირდება „მათხოვრობაო“, იქნებ შენი დიპლომიც გამოგადგესო. მანანას გულიანად ეცინებოდა და რაიმე „ხოხმა“ ისტორიას აუცილებლად მიაყოლებდა. მაგალითად, ერთ ქართველ არალეგალ ქალზე, მოსავლელ ბაბუას რომ გაჰყვა ცოლად, იმან ანდერძად ფული და ამერიკის დედაქალაქში თავისი „გაბრიალებული“ სახლი დაუტოვა. მერე ამ ქალმა ვიღაც ქართველი დონ-ჟუანი, ალფონსი, რომელიც ჯერ რუს ასაკოვან ქალებს იყო აკიდებული, გაიცნო. ამ კაცს ჩვენი მდიდარი ქვრივის მიმართ სიყვარულის დიდი ბუშტი გაუსკდა და საბოლოოდ ამ სიყვარულმა „ნაყოფად“ ის გამოიღო, რომ „საყვარელ“ ქალს მთელი ქონება, ფაქტობრივად, ორ წელიწადში დაამღერებინა. ეს ქალი კი ამერიკელ ბებიებსა და ბაბუებს, როგორც აქ ამბობენ, ისევ უკანა ადგილს უხოცავს და კვლავ ამ თავის „გულის სწორს“ არჩენს. საწყალს უთქვამს, ესეც არ დავკარგოო. მართლაც რომ „ხოხმაა“...

შარშანწინ მანანას ვიღაც შორეული დაუკავშირდა. მანანამ ძლივს გაიხსენა ვინ იყო. ჩემმა შვილმა მწვანე ბარათი მოიგო, ამერიკაში მოდის, დაეხმარე თუ ღმერთი გწამს, კეთილი საქმე ჰქმენო. მანანამ უთხრა, ღმერთი მწამს. დავეხმარებიო. ამ 22 წლის ქალს საქართველოში ვიღაცისგან შვილი გაუჩენია. მაგრამ ბავშვი ამერიკაში არ წამოიყვანა. დედასთან დატოვა და ბედის საქებნელად, უფრო სწორედ ბინის საყიდლად და ფულის შესაგროვებლად ამერიკას მიაშურა. მანანამ თავის სამსახურში დროებით, ერთი თვით, ვიღაც ქართველი მიიყვანა და ახალგამომცხვარი ახლობლის პატრონობასა და დაკვალიანებას, როგორც ყოველთვის სჩვეოდა, გულმოდგინედ მიჰყო ხელი. ერთი თვე არჩენდა, სამსახურიც უშოვა. მწვანებარათიანსა და მით უმეტეს ინგლისურის მცოდნეს, უფრო ადვილად შეუძლია ძიძის ან მოხუცის მომვლელის „პოზიცია“ იპოვოს. თუმცა სტუმარი სამსახურს მალევე კარგავდა, ვერ ეგუებოდა. მაგრამ სამსახურის დაკარგვას ისე მწვავედ განიცდიდა, რომ მანანამ თავისი ანტიდეპრესანტები ამ ახალგაზრდას გადაულოცა. სტუმარი კი ყოველ ჯერზე უმუშევრობას უფრო მეტად ნერვიულობდა, ვიდრე იმას, რომ შვილი დატოვა. თანაც ვინ იცის, რამდენი ხნით. მანანა ამბობდა, ალბათ, არა აქვს გაცნობიერებული, რომ დედაა... ვერ მოასწროო. ორი თვის ბავშვი დატოვაო. აბოდებსო: სულ „ბინა, ბინა, ბინა, ბინას“ გაიძახისო. ჰო, ამასობაში მანანამ თავად დაკარგა სამსახური. იქ, თავის შემცვლელად დროებით ქართველი რომ მიიყვანა, იმან ერთი თვის თავზე მოსავლელი მოხუცის შვილებს უთხრა, რასაც მანანას უხდით, ორასი დოლარით ნაკლები თანხა მე გადამიხადეთ და მე დამტოვეთო. ამერიკელებსაც მოეწონათ ეს წინადადება და დასთანხმდნენ. მანანას დაურეკეს, შენი ნივთები წაიღე, კარგად იყავიო. გააგდეს. მანანა ბრაზობდა, ახია ჩემზეო... მაგრამ მერე ვიღაც ისევ მის სეხნია მანანაზე გვიყვებოდა. სიმსივნე აქვს, მაგრამ რესტორანში მღერისო. საქართველოში შვილი დაუჭირესო. მანანა – მომღერალი ამბობს, ადვოკატის ფულს, აბა, საიდან მოვიტანო. ჩემს თავს ვინ ჩივის, შვილიშვილებს რაიმე არ მოაკლდეთო... ჰოდა, მანანა გვეუბნებოდა, ამ მომღერალზე ცოტა უკეთესად ხომ ვარო. კიბო არა მაქვს, ციხეში არავინ ზის, ფეხზე ჯერჯერობით ხომ ვდგავარო. ღმერთი არ გამწირავსო...

* * *

მანანები...
მიწის, ცისა და ამერიკის...

* * *

შარშან მანანას „აღდგომის“ შემდეგ სრულიად შემთხვევით ინტერნეტით საქართველოს ტელევიზიის გადაცემა „პატრულს“ ვუყურე. შემზარა. მაინცდამაინც იმ დღეს ხან მტკვარში, ხან კუს ტბაში, ხან სად ხუთი კაცი დამხრჩვალა. ქართული ცივსისხლიანი ტელევიზია კი წარბშეუხრელად ასეთსავე ცივ წყალში მოტივტივე ადამიანების გვამებს აჩვენებდა და მათ სახელსა და გვარს, ასაკსა და კიდევ რაღაც „დეტალს“ ასევე ცივსისხლიანი ხმით გვამცნობდა. გადაცემის ბოლოს კი კვლავ ცივსისხლიანი სტატისტიკური მონაცემები წარმოგვიდგინეს, როგორც დღის თუ თვის თუ სოლოცხლის შემაჯამებელი „საპატრულო“ აკორდი. რამდენი მკვლელობა, თვითმკვლელობა, რამდენი ქურდობა, საგზაო შემთხვევა (სიკვდილითურთ), თაღლითობა და ყაჩაღობა მოხდა. ბოლოს სტატისტიკურ გრაფაში სიტყვის „სხვა“ გასწვრივ ციფრი 125 ეწერა. მანანა ამ „სხვა“-ში არ შესულა. მანანა ასოცდამეექვსე იყო...

**ია მერკვილაძე,**
ნიუ-იორკი, აშშ

დასასრული. დასაწყისი იხ. № 88

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ფილოსოფიური ეტიუდი

# ავტორიტეტის შესახებ

ეს თემა ყოველთვის იმსახურებდა ყურადღებას, მაგრამ ყოველ ეპოქას მაინც თავისი ნიუანსი და ხედვა ახასიათებს. ერთი რამ უდავოა: ნებისმიერ ავტორიტეტს გარკვეული ღირებულებები ქმნიან. თავად ღირებულებები კი, უმეტეს შემთხვევაში, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. რაკი ასეა, ავტორიტეტებიც არ შეიძლება ყოველთვის საყოველთაო იყოს. ავტორიტეტთა იერარქია საკმაოდ მრავალსაფეხურიანია. პირობითად რომ ჩამოვთვალოთ: გლობალური, კონტინენტური, რეგიონული, სახელმწიფოებრივი, ეროვნული, კლანურ-პარტიული (აქვე – პოლიტიკურიც, კლანურ-სოფლური, ქუჩური, ოჯახური... ცალკე ჩამოსათვლელია: შემოქმედებითი(მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის, მეცნიერის, ფილოსოფოს-ბრძენის, რელიგიური მოღვაწის, მასწავლის, საორგანიზაციო და ა.შ.ძ. ცხადია, სხვა სფეროებიც მოიძებნება (თუნდაც წინასწარმეტყველის).

საინტერესო უნდა იყოს ავტორიტეტის შექმნა-ჩამოყალიბების პროცესი-მექანიზმი. როგორც წესი, ეს დროში გაწელილი პროცესია, მაგრამ არც ისე იშვიათია ერთბაშად, ასე ვთქვათ, „ერთი დაკვრით", მოპოვებული სახელი და აქედან გამომდინარე ავტორიტეტი. ცნობილია ფრთიანი ფრაზა: „ერთ მშვენიერ დილას (გავაზნაძ სახელგანთქმულ ადამიანად გაიღვიძა".

ავტორიტეტს, ბუნებრივია, პიროვნების თვისებები, მისი ქარიზმა, უნდა ქმნიდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, ეს ძალადობაზე და შიშზეა დაფუძნებული. ცოცხალი არსება გაუცნობიერებელ შიშს განიცდის სხვა მასზე ბევრად ძლიერის წინაშე, უჩნდება შეუვალი ავტორიტეტისადმი მოწიწების გრძნობა, რომელმაც შესაძლებელია პიროვნული მდომარეობამდეც კი მიიყვანოს. ამ შემთხვევაში ფსიქიკა ფიზიოლოგიასთანაა ჩაწნულ-ჩახლართული. ამ კუთხით ფრიად საინტერესოა ცნობილი ინგლისელი მოგზაურისა და მისიონერის დევიდ ლივინგსტონის მიერ აღწერილი აფრიკული ეპიზოდი. სოფელს აგრესიული ლომი შეეჩვია და საქონელი გაუჩანაგა. ლივინგსტონი, ადგილობრივებთან ერთად, მხეცზე სანადიროდ წავიდა. მაღლობზე წამოსკუპებულ ლომს მან პირველმა ესროლა. გამწარებულმა დაჭრილმა ნადირმა ფანტასტიკური კამარა შეკრა, მონადირეს ზედ დაახტა და წააქცია. ლივინგსტონი წერს: იმ მომენტში, როცა კისერთან ცხოველის მეფის გავარვარებულ, ძალუმ სუნთქვას ვგრძნობდი, ყველანაირი განცდა გამიქრა, გარდა უსიტყვო მორჩილებისა და წინააღმდეგობა არ ვიყავი, რომ შევეჭამე კიდეც. საბედნიეროდ, ერთ-ერთმა ადგილობრივმა სროლა მოასწრო და ევროპელი გადარჩა: მრავალი ჭრილობიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ფატალური.

ძალაუფლებით აღჭურვილ ნებისმიერ დიქტატორს, უნდა თუ არა, ძალუძს მასების დაჰიპნოზება. ლივინგსტონისა არ იყოს, ზოგადა შეეჭიდებიან კიდეც. რამდენმა კამიკაძემ დადო თავი იმპერატორისთვის და თანაც უდიდესი სიამოვნებით. ასაკოვანი ხალხის ყურში ახლაც ჩაესმის ხან ომიერ შეძახილი-მოწოდება: „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" ცხადია, დიქტატორის ავტორიტეტის შესაძლებელ დისაგამომდებული მუშაობს იდეოლოგიური მანქანაც. ჰიტლერულ გერმანიაში ეს იყო გერმანელი ერის რასობრივი განსაკუთრებულობის და გამორჩეული ისტორიული მისიის კონცეფცია. საბჭოთა კავშირში – სოციალიზმისა და მშენებარე კომუნიზმის, შეუმცდარი პარტიული ხელმძღვანელობისა. სწორედ ამ იდეოლოგიას ეფუძნებოდა ბელადის ავტორიტეტი. არც ის ფაქტორი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რასაც ცივილიზებულობის დონე ჰქვია. მხოლოდ პოლიტიკური კულტურის დაბალი დონით შეიძლება აიხსნას დიქტატორის უვადოდ არჩევა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში.

იდეოლოგიური დოგმატიკის ძალადობრივი მეთოდებით დანერგვის და ამ გზით ავტორიტეტის ხელოვნურად შექმნის არა ერთი სავალალო მაგალითი გვხვდება ისტორიაში და დღევანდელობაში. ყალბ და საეჭვო ავტორიტეტებთან უთანასწორო ბრძოლაში არა ერთი გამორჩეული მოაზროვნე დაისაჯა. საკმარისია გავიხსენოთ ჯორდანო ბრუნო, გალილეი, ურიელ აკოსტა, სპინოზა... რელიგიური ფუნდამენტალიზმის სისხლიანი პროდუქტი იყო ბართლომეს ღამე... ტრაგიკული სტატისტიკა დააფიქსირა ბერტრან რასელმა: მხოლოდ გერმანიაში, მხოლოდ ერთ საუკუნეში, ინკვიზიციამ ასი ათასი ქალიშვილი დაწვა კოცონზე!

ბუნებრივია, რომ ამ გზითა და მეთოდებით შექმნილი ავტორიტეტები ქრებიან მათი ისტორიული ასპარეზიდან წასვლის შემდეგ, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ცნობიერებაში ისტორიულ ავტორიტეტთა წინაშე ქედმოხრის რეციდივები ხანგრძლივი დროის შემდეგაც შეინიშნება. კეისარზე, ნაპოლეონზე და სტალინზე რომ არაფერი ვთქვათ, ბოლო ხანებში ჰიტლერსაც კი დადებითი ინტონაციებით ახსენებენ.

გვერდს ვერ ავუვლით სახელმწიფოსა და ერისთვის დამღუპველ მაფიურ და ქურდულ ავტორიტეტებს. მათთან ბრძოლა ნებისმიერი ნორმალური ხელისუფლების უპირველესი ამოცანა უნდა იყოს. სამწუხაროდ, მოზარდების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ყალბი ღირსების და სამართლიანობის ორეოლით მოსილი ქურდული და მაფიური ავტორიტეტი. ჩრდილში რჩება სახელმწიფოებრივი და ეროვნული იდეოლოგია. დამაღონებელი ფაქტია, რომ ბევრმა ცნობილი ქურდული ავტორიტეტის სახელი უფრო იცის, ვიდრე, ვთქვათ, შექსპირის, მოცარტის ან მიქელანჯელოსი.



საქმე იქამდეც მივიდა, რომ გაჩნდნენ ავტორიტეტული მკვლელები, ე.წ. „ქილერები", რომლებიც არცთუ მოზრდილი თანხის სამაგიეროდ მზად არიან საიქიოს გაისტუმრონ რომელიც გნებავთ უცნობი და ნაცნობი. რაც განსაკუთრებით დასაფიქრებელი და საგანგაშოა, ზოგიერთ ბესტსელერსა და ფილმში აშკარად ჩანს ავტორთა სიმპათიები მკვლელების მიმართ. ჰოლივუდის ერთ ფილმში პროფესიონალი ქილერების როლში გვევლინებიან უაღრესად სიმპათიური და ნიჭიერი კინოვარსკვლავები სილვესტერ სტალონე და ანტონიო ბანდერასი. მხოლოდ სალაროზე გათვლილმა ხელოვნებამ შეიძლება გამოუსწორებლად დაამახინჯოს მომავალი თაობის ფსიქიკა. ან, თუ გნებავთ, შევეხოთ იმ გაუმართლებელ(ზნეობრივი თვალსაზრისითძ თანაგრძნობას, რომელსაც მაყურებელი განიცდის ბანკების სერიული მძარცველებისადმი, იმის მიუხედავად, რომ „გზადაგზა" შეიძლება ბანკის მოხელეც შემოაკვდეთ, პოლიციელებიც დახოცონ და ბლომად მანქანებიც ააფეთქონ. მაყურებელმა შეიძლება ტაშიც დასცხოს, როცა ეს მძარცველები და მკვლელები ფულით გაძეძგილი ჩანთით მშვიდობიანად გადადიან მექსიკის საზღვარზე.

საეჭვო ავტორიტეტებს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით. ამჯერად კი ვეცდებით დაახლოებით მაინც მოვიხილოთ ის კრიტერიუმები, რასაც ეფუძნება საყოველთაო, უკვდავი ავტორიტეტი.

მაგალითისთვის გამოგვადგება ანტიკური ხანის ყველაზე უფრო გამორჩეული პიროვნების, სოკრატეს „იმიჯი". ის იყო თავისი ეპოქის ცოდნის სრულად მომცველი და საზოგადოების ყველა ფენისათვის ჭკუასაკითხავი ბრძენკაცი. მისი უნიკალური ავტორიტეტისათვის მხოლოდ ეს არ იკმარებდა, სოკრატე ზნეობრივადაც საამაგალითო რომ არ ყოფილიყო. მისი ზნეობრივი პოსტულატები და ცხოვრების წესი ერთმანეთთან ჰარმონიაში გახლდათ. ამ პრინციპის ერთგულება დღესაც შესაშურ ავტორიტეტს მოახვეჭინებს ნებისმიერ პიროვნებას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ავტორიტეტები არ ზღუდავენ პიროვნების თავისუფლებას, ცხადია, ზომიერ ფარგლებში. „ზომიერში" ვგულისხმობთ უკრიტიკო, ბრმად მიმდევრობ, თაყვანისცემამდე მისულ ქედმოხრას ავტორიტეტის წინაშე. გავიხსენოთ არისტოტელეს ცნობილი ფრაზა: „პლატონი მიყვარს, მაგრამ ჭეშმარიტება – უფრო მეტად".

სხვათა შორის, თავად არისტოტელეზეც იგივე შეიძლებოდა ეთქვათ ახალი დროის ფილოსოფოსებს. სპინოზა „სასულიერო-პოლიტიკურ ტრაქტატში" არ უშინდება არისტოტელეს თითქმის ორიათასწლიან ურყევ ავტორიტეტს და მის ზოგიერთ მოსაზრებას „ბოდვას" უწოდებს. ცნობილია, რომ ნიდერლანდელი ბრძენი ასევე არ ეპუებოდა ბიბლიის ავტორიტეტს, რაც იმ დროისთვის გაუგონარი გამბედაობა იყო. უდავოდ საინტერესოა სპინოზას მოსაზრება პოლიტიკური ავტორიტეტის თაობაზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, დღესაც აქტუალურად ჟღერს: „რაც შეეხება პოლიტიკოსებს, როგორც საერთო შეხედულება მიიჩნევს, ისინი ხალხზე ზრუნვის ნაცვლად მას ხრიკებს უწყობენ და ამიტომაც არიან აღიარებულნი ვირეშმაკებად და არა – ბრძენკაცებად" („პოლიტიკური ტრაქტატი", შესავალი, პარ.2)

ახალ დროში ავტორიტეტების წინააღმდეგ არაერთმა ცნობილმა მოაზროვნემ გაილაშქრა. ფრენსის ბეკონის მიერ დაფიქსირებულ ცრურწმენებს, ანუ „იდოლებს" შორის ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელია ე.წ. „თეატრის იდოლა", რომელიც შეუცდომელი ავტორიტეტის წინაშე უსიტყვო მორჩილებას გაიძულებს. ბეკონი არისტოტელეს დაუნდობლად აკრიტიკებს და მიაჩნია, რომ მასწავლებლის ავტორიტეტისადმი მოწიწების მიუხედავად, მოწაფემ საკუთარი გონების ქურაში უნდა გაატაროს ნებისმიერი მოსაზრება, ვისგანაც უნდა მოდიოდეს.

საერთოდ, შესაძლებელია იმ ავტორიტეტების დაახლოებითი ნუსხა შევადგინოთ, რომლებიც თაობიდან თაობაში, ეპოქიდან ეპოქაში, მოგზაურობენ: შვილისთვის – მშობლის, მოსწავლისთვის – მასწავლებლის, შეგირდისთვის – ოსტატის, ესთეტისთვის – მშვენიერების, მრევლისთვის – მოძღვრის და ა.შ.

ერთი შეხედვით, ურყევი უნდა იყოს ამა თუ იმ სფეროში მოღვაწე გენიოსთა ავტორიტეტი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი „ამართლებს" თანამედროვეთა მიერ გენიოსად ხელდასხმული პიროვნება. მომდევნო პერიოდში ხდება ღირებულებათა გადაფასება და მავანთა კვარცხლბეკიდან ჩამოგდება ან სულაც საფლავიდან ამოთხრა-გადასახლდება.

ამის ერთ-ერთი მაგალითია ცნობილი რუსი მხატვრის ბრიულოვის ავტორიტეტის ისტორია. იტალიაში შემოქმედებითი პროცესის დასრულების შემდგომ ბრიულოვმა იქვე შექმნა ფერწერული ტილო „პომპეის უკანასკნელი დღე", რომელმაც არნახული ფურორი მოახდინა რუსეთის ელიტაში. აღფრთოვანებულმა ტურგენევმა განაცხადა: „ბრიულოვის „პომპეის უკანასკნელი დღე არის რუსული ფერწერის პირველი დღე". მხატვარი გენიოსის ტახტზე დასვეს, საიდანაც სიკვდილამდე არ ამდგარა.

არც თუ დიდი ხნის შემდეგ დადგინდა, რომ საქმე გვქონია პროფესიონალ სალონურ მხატვართან და არა მიქელანჯელოს, რაფაელის, დონატელოს ან თუ გნებავთ, რეპინის რანგის შემოქმედთან.

დრო ყველაზე ობიექტური მსაჯულია. თანამედროვეთა ემოციებზე დაშენებული შეფასებები, არც თუ იშვიათად, კრახს განიცდის და მიცვალებულთა „შეწუხების" მიზეზი ხდება. ამ მხრივ მისაბაძია ფრანგების პოზიცია: სიკვდილიდან ორმოცდაათი წლის შემდეგ უნდა დადგინდეს პიროვნების სტატუსი, ამ საქმეში სიჩქარე ყოვლად გაუმართლებელია.

მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ყოველი ღონით ცდილობს ის დივიდენდები მოიხვეჭოს, რომელიც მას არ დაუმსახურებია: წერს და სოლიდური ტირაჟით გამოსცემს უნიჭო წიგნებს, ორგანიზებას უკეთებს საკუთარ შემოქმედებით და საიუბილეო საღამოებს, მოისყიდის მეხოტბეებს, საქმეში ჩართავს ტელევიზიას, რადიოს, პრესას...

შედეგი?

„ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე..." რამდენიმე არაპროფესიონალი შეიძლება მოატყუო, მაგრამ დრო-ჟამის მსჯავრს სად წაუხვალ. ისტორიაში „რქების მიწოლით" შესვლა ჯერ არავის გამოსვლია. დასანანია, რომ პიროვნებათა „გამოგონებაში" მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით დილეტანტ ჟურნალისტებს, საერთოდ, მასმედიას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოპულარობა ჯერ კიდევ არ მიგვანიშნებს მავანის ტალანტზე და მით უმეტეს, გენიალობაზე. მხოლოდ პოპულიზმზე აშენებული ავტორიტეტი ეფემერული, წარმავალია. პიროვნების ასპარეზიდან წასვლის შემდგომ ის, ფაქტობრივად, აღარავის ახსოვს.

ყალბი, ძალადობრივი, ავტორიტეტის ფრიად მასშტაბური სახეობაა თანამდებობის, მემკვიდრეობითი პოსტის, ერთი სიტყვით, „სკამის" ავტორიტეტი. უფროს თაობას ახსოვს როგორი ორეოლით მოსავდნენ ცეკა-ტეკას, რაიკომის, მდივნებს, საერთოდ, პარტიულ ნომენკლატურას, პრემიერმინისტრებს და მინისტრებს საბჭოების ქვეყანაში. სწორედ „სკამი" ქმნიდა ილუზიას, რომ მასზე მოკალათებული „ნომენკლატურა" განსაკუთრებული ტალანტით დაჯილდოებულ პიროვნებას წარმოადგენდა. სკამიდან ჩამოსმისთანავე მათი „ტალანტი" უკვალოდ ორთქლდებოდა.

ძალადობრივი, „ზემოდან" ჩანერგილი, ავტორიტეტის მკაფიო სურათი იყო საბჭოთა იდეოლოგიის ბატონობის ხანაში. ნებისმიერი სტატია ან გამოკვლევა უსათუოდ ციტატებით უნდა დაწყებულიყო და მარქსისტულ-ლენინური დებულებებით ან დიალექტიკური მატერიალიზმის უზენაესობის აღიარებით დამთავრებულიყო. რაც შეეხება ციტატებს, აქ მკაცრად განსაზღვრული იერარქია გახლდათ: ჯერ მარქსის, შემდეგ ენგელსის, ლენინის და აუცილებლად გენსეკის მარჯვედ მისადაგებული გამონათქვამი. რაიმე მსჯელობას კიდევ უფრო ამაგრებდა კრიტიკის ყოფლობა ან ცეკას დადგენილებიდან მოყვანილი ფრაგმენტი. მსგავსი სახის ციტატა ყველა არგუმენტზე ძლიერ ჟღერდა. მეცნიერული კვლევის როლი ციტატის ნასროლ ტყვიის ეფექტი ჰქონდა. თუ ამ ტყვიისთვის თავის არიდება გინდოდა, ენაზე კბილი უნდა დაგეჭირა და ხელები აგეწია. ეს გარემოება, კაცმა რომ თქვას, არც იყო გასაკვირი ოცდაათიანი წლების სისხლიანი რეპრესიების შემდეგ. ინტელექტუალებიც იმდენად იყვნენ დაშინებულები, რომ საკუთარ შეხედულებებსაც უპირისპირდებოდნენ, სხვათა მიერ გახმოვანებულს. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ ინციდენტი ფილოსოფიის ინსტიტუტში ჰეგელისადმი მიძღვნილი საიუბილეო სესიის დროს. სავლე წერეთლისა და შალვა ნუცუბიძის შემდეგ გამოსულმა კოტე ბაქრაძემ ყურადღება გაამახვილა ჰეგელის დამსახურებაზე ევროპული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. დარბაზში მყოფი სერგი დანელია ფეხზე წამოდგა და მკვახე რეპლიკით შეაწყვეტინა: „თქვენ აქებთ იდეალიზმს, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია!" კოტე ბაქრაძე არ დაიბნა და რამე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად (რასაც მძიმე შედეგიც შეიძლებოდა მოჰყოლოდაძ საპასუხოდ ლენინის ციტატა „ესროლა": „იდეალიზმ ნე ჩეპუხა..." დანელია საჩქაროდ დაჯდა, მაგრამ ახლომჯდომებმა გაიგონეს როგორ ჩაიბუზღუნა: „ა პო მოემუ ჩეპუხა", რასაც გვარიანი სიცილი მოჰყვა. ცხადია, იქ მყოფთაგანს არავის ეგონა, რომ სერგი დანელიას იდეალიზმი და მით უმეტეს, ჰეგელისა, სისულელედ მიაჩნდა. ლენინის ციტატების ნაძალადევი ავტორიტეტულობაც ხომ მასზე უკეთ ვინ უწყოდა...

სულ სხვაა ჭეშმარიტი ტალანტის მიერ მოხვეჭილი ავტორიტეტის ბედი. მის შემოქმედებას დრო თუ არ უმატებს, არაფერს აკლებს. გენიოსთა უმეტესობა მრავალი, საზოგადოებრივი ნორმებისთვის მიუღებელი თვისებებით ან ცხოვრების წესით გამოირჩეოდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, თუმცა რამდენიმე მათგანის გახსენება არ იქნება უინტერესო. მიქელანჯელო ცნობილი იყო ცინიზმით, კარჩაკეტილობით და შემოქმედებაში ფანატიზმით. როცა ქმნიდა, ჭამაც კი ავიწყდებოდა, ელემენტარულ ჰიგიენაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. კანტმა დაოჯახებაც კი არ ისურვა, რათა ცხოვრების უმთავრეს საქმეში, ფილოსოფოსობაში, ხელი არ შეშლოდა. დანიელ კირკეგორს ქვებს ესროდნენ მისი პარადოქსული და ამდენად, საზოგადოებრივი აზრისათვის მიუღებელი ლოგიკურ-ზნეობრივი პოსტულატების გამო. გალაკტიონს საკმაოდ ჰქონდა საზოგადოებრივი ზნეობის პოზიციიდან გასაკიცხი „ხარვეზები", მაგრამ მისი პოეზიის დამფასებელთათვის ეს მხარე მეათეხარისხოვანია.

სხვათა შორის, ცალკე უნდა ითქვას ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის" ავტორიტეტის თაობაზე. გამოთქმა „ხმა ღვთისა – ხმა ერისა" გარკვეულ ეჭვს ბადებს, თუკი „ერის ხმაში" საზოგადოების პოზიციას მოვიაზრებთ. საზოგადოებრივი აზრის უკრიტიკოდ მიღება გაუმართლებელია. რეფერენდუმი ყოველთვის როდი ასახავს ჭეშმარიტ სიტუაციას და მით უმეტეს, თავად ჭეშმარიტებას. უფრო მეტი: „ანონიმურობის გამო საზოგადოებრივი აზრი ძალაუფლების უპასუხისმგებლო ფორმაა და ამით განსაკუთრებით სახიფათოა"...(კ.პოპერიძ. სწორედ ამიტომ ხალხის აზრის გაფეტიშება ფრიად სახიფათოა, ვინაიდან ტრაგიკული შედეგის შემთხვევაში არავინ ისჯება(„აზრს" ვერ ჩამოახრჩობ, თუმცა „ტვინის ჭყლეტა" შესაძლებელიაძ.

დასასრულ ერთ, არც თუ უმნიშვნელო მომენტს უნდა გაესვას ხაზი: ერთ სფეროში ავტორიტეტი სხვა სფეროში არა თუ ავტორიტეტდაკარგული, ელემენტარული ბრიყვის როლში შეიძლება აღმოჩნდეს. ბოლშევიკების მმართველობის პერიოდში აქტიურად „მუშაობდა"(სამწუხაროდ, ამის რეციდივები დღევანდელ საქართველოშიც შეინიშნებაძ „ლენინური" ფორმულა: სახელმწიფო ნებისმიერმა მზარეულმა ქალმაც შეიძლება მართოს. დავივიწყეთ უკვე ბანალურ გამოთქმად ქცეული, მაგრამ უტყუარი სიბრძნე: პური ხაბაზმა უნდა გამოაცხოს!

მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება პიროვნებაც და ქვეყანაც ავტორიტეტი.

**ლერი ჩანტლაძე,**
ფილოსოფიის მეცნიერებათა
დოქტორი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას**

**თქვენი გაზეთიდან შევიტყვე, რომ ნიკო ფიროსმანი გარდაცვლილა 1918 წლის 4 მაისს, ხოლო დაუკრძალავთ ცხრაში. ჩვენი დიდი მხატვრის სულთან გაყრას ეძღვნება სწორედ გამოჩენილი უკრაინელი პოეტის მიკოლა ბაჟანის პოემა „სიკვდილი ნიკო ფიროსმანაშვილისა“, სადაც საკუთარ ქმნილებებთან მარადიული წილნაყარობის იმედით აღსავსე მომაკვდავი ხელოვანი ეპაექრება მისივე „მეეზოვის“ სამოსში გადაცმულ სიკვდილს. იქნებ გამოიყენოთ.**

პატივისცემით **რაულ ჩილაჩავა.**

## მიკოლა ბაჟანი

# სიკვდილი ნიკო ფიროსმანაშვილისა



წევს ფარღალალა, ჩვრებით დაგმანულ
კედლებს მიღმა და ესმის, ცხადია,
ღრჭენა-ღრჭიალი, აყალმაყალი,
ჩხუბი, ხუმრობა თუ კამათია,
როგორ ლაყბობენ მზარეულები, ხელფარეშები
როგორ დადიან,
როგორ შიშხინებს ტაფაზე შაშხი,
კოცონზე მწვადი იწვება, დია.

ესმის თუ როგორ დაყარეს შეშა
ხის იატაკზე, სად წინკარია
და მეეზოვე ტუქსავს ზუზუნით
ქალებს უქნარას და თავქარიანს.
პირთეთრი, როგორც ფქვილის ტომარა
და თეძომრტყელი, რაც მთავარია,
დიასახლისი ჰკითხავს მზარეულს,
შეწვა თუ არა უკვე ვარია.

აჰა, დანებმაც გაიწკრიალეს
ოხრახუშის და სტაფილოს ჭრაში,
ატრიალებენ მარჯვედ ქაფქირებს,
ურევენ ქვაბებს, მზადდება ხაში.
დიასახლისმა მოახლე გოგოს
უთაქა, წყენა დაეტყო ხმაში
შემოგარენის უტიფარ ტურფას, რომელიც
თრთოლვით მოელის აშიკს.

განთიადიდან, როგორც კი სარკმელს
ააელვარებს სხივი ციური,
მწუხრამდე, როცა ხურდება ტვინი
უძილობით და გარჯით დღიურით,
გაუმაძღარი სამყარო დარბის,
ქაქანებს, ყვირის, როგორც ტყიური,
ცეცხლს ეფიცხება, ჯამს ჩაჰკირკიტებს,
არ აკრთობს სევდა ამქვეყნიური.

შუშავს, აცხელებს, ადუღებს, აცხობს,
სულ მოფუსფუსე და მოუცლელი,
ითვლის მოგებას, ზოგავს კაპიკებს,
აქვს საზრუნავი მარად უცვლელი:
მართლაც თავადურ ნუგბარ კერძებით
ამოუყოროს თავადს მუცელი,
აძლიოს ოხრად ღვინო, წვენები, ხორცი,
ლორი და მდოგვის ფურცელი.

გამორჩეულო ვაშლო ქართლისა,
საღო მარცვალო კახურ წიაღის,
ფშავ-ხევსურეთის დეკავ და ღვიავ,
დგაფუნა თევზო ლურჯი ლიახვის,
აკიდოებში ჩაღვრილო ქარვავ,
მთელი ზამთარი რომ შეინახვი...
ო, საქართველოს ულევო განძო,
მოხარული ვარ მე შენი ნახვის.

მაგრამ დაფეხვილ კედლებს რა ვუყო,
მგუდავს სარდაფის ნესტი და შმორი,
მივჩერებივარ ჭერს გათანგული და
ყველაფერი მართლაა შორი.
უვარსკვლავებო, უმთვარო ღამით,
როცა მაღლიდან დაუშენს თქორი,
მე მელანდება დედულ-მამული,
მისი ბუნება სამოთხის სწორი.

იქ ხომ ფერების ფერხული არი,
უბრწყინვალესი და უნათლესი,
იქ ხომ ოქროთი მოფენილია ველი
სათიბი, სახნავ-სათესი.
კვლავ ამიხილე თვალები,
ღმერთო, გადამავიწყე ჭირი ათასი,
მაჩვენე ზეცა გადაჭიქული და
დაფენილი ძირს ფიანდაზი.

რის მაქნისი ვარ? — თხელ მუშამბაზე
ფერებს ვახამებ აუჩქარებლად,
ძალმიძს მოებისთვის და ნივთებისთვის
სულის შთაბერვა, აელვარება,
ხან შავ საღებავს ლურჯს შევუხამებ,
ვით სიცილს — ცრემლებს,
ლხინს — მწუხარებას,
ხან ყავისფერში მწვანეს ავურევ,
ამქვეყნად ვინმეს ხომ ეყვარება!

ძალმიძს განვფინო მთელი სამყარო
მე რამდენიმე უბრალო ფერად,
როგორც მესტვირეს საკუთარ სუნთქვით
გამოჰყავს ხოლმე ცოცხალი ბგერა,
ეს არის მთელი შენი შეძლება,
შენი ნუგეში და ბედისწერა,
მისად სამსხვერპლოდ გაიღო უნდა,
ოსტატო, ნიჭი და გულის ძგერა.

პაწია ჯამში — ჭვარტლი და თეთრა,
მცენარეულთა შვიდფერი წვენი,
მყვირალა მწვანე და ჭიაფერი,
რაც მარგარიტას ბაგეებს შვენის.
ნანახისა და განცდილისნაცვლად —
საღებავები სინათლის მფენი,
ჯერაც ატყვია სადა ნახატებს, რომ
შევალიე სიცოცხლის დღენი.

რათა გაართონ ვინმე აშიკი,
დაატკბონ ლოთი-ფოთების ხროვა,
ისინი დუქნებს ჰკიდია აზრად და
შეუმშრალი ფუნჯების გლოვად,
როს მოედებათ ომი და ხავსი,
მათ გასაქრობად მსახვრალი მოვა,
და ვაი, როცა მე არ ვიქნები, ამ ჭრელ
კედლებზე თუ ვერვინ ჰპოვა

დათვები, მთვარის შუქით მოსილნი
და ქორბუდები, ქარივით მალი,
ღვინის კასრები, გაშლილი სუფრა,
მე რომ შთავბერე ღვთიური ძალი,
და ტიკჭორები, მსგავსნი საოცრად
გაშიშვლებული, ღიპიან მთვრალის,
ო, ბრალი, ბრალი ჩემთა ტილოთა,
ვით ჰქრება მათი კეთილი კვალი!

ქარ-თოვლში სკდება, ლპება, ოხრდება
და ვერანდება მშვენება მათი,
ვერ გადაარჩენს სარდაფში მიყრილთ
ვერც ვისი ხსოვნა, ვერც ვისი ხათრი,
მხოლოდ ზოგიერთ მედუქნის ოჯახს
თუ შემორჩება ნაქმნარი მხატვრის,
თანაც იმიტომ, რომ ჩარჩი ფიქრობს,
მესმისო ტილოს ნამდვილი ყადრი.

ვრცელი დარბაზის ნათელ კუთხეში
წინ დავიყენებ, ვით სასოებას,
ჩემს ლამაზ სიზმრებს დაუმთავრებელს,
მწუხარსახოვან ამაოებას,
თამარ დედოფლის კაშკაშა ვარსკვლავს,
მსგავსი რომ ქვეყნად არ იპოება,
სალდათის მზერას გამოსათხოვარს,
მოწყალების დის თვალთ
სათნოებას.

თვალები... ქვეყნის ამოსაცნობად
თავის ქალაში დატანებული
ორი ნასვრეტი და ორ სხივი სხვა
მრავალ თვალთა მზით ანთებული...
მინდა ვიყვირო კაცთა იმედზე და
გავანათო რწმენის კრებული,
მარტოსულობით, სასოწარკვეთით,
უილაჯობით ჩანავლებული.

მაგრამ ყვირილი, მე რომ ჩავხატე
კაცთა და მხეცთა თვალებში, ქრება,
თუმც ბაზრის მტვერი და დუქნის კვამლი
ჩემთვის ოდესმე ყოფილა შვება,
ახლა სამზადის საკუჭნაოში ვგდივარ
ძაღლივით, შემყრია სნება,
წამერთვა მზერაც, არც მისი მჯერა,
თავს საყვედურის მივეცი ნება.

შეუწყვეტელო კვდომავ ფერების,
უღიმღამობავ მუშამბებისა,
საღებავების უაზრო ელვავ, ვერ
აგიყოლებთ მეტჯერ ნებისად,
ვერც შენ აგიხვალ ცაში ფარფატო
ჩემთა ნაყალმართ ნაკუწებისა,
უნდა ვაფურთხო ამ მართკუთხედში,
ნიშანში ჩემი დამიწებისა.

მე მის წინ ვდგავარ, იგი მარცხია,
ფერფლი, კუბო და შავი სამარე,
იგი ორმოა, ჭაა უძირო, ჩრდილი,
რომელიც ადგას ამ არეს,
მასზე, ვით ჯვარზე, ეცვა იმედი,
მოხეტიალე და მომთაბარე,
გამხმარი, როგორც მწირი ნაყოფი,
ჩამოსავარდნად თვალს რომ აპარებს.

ნეტავ, ვიცოდე, უკანასკნელად რას
მოვიხილავ დაბინდულ მზერით,
მომეახლება ქვესკნელს მიმავალს
სხვისთვის უცნობი რომელი ფერი?
ეს მოყაყანე სამყარო, როგორც
ტაკიმასხარა ან ბრიყვი ბერი,
ჩემს ნაზ ქმნილებებს ფეხით გათელავს
და გამეცლება ცეკვით და მღერით.

ყვითელი, როგორც მჭკნარი ფოთოლი,
ყვითელი, როგორც ყანაში ჭვავი,
მე ჯანმიხდილი ვწევარ თივაზე, ჰა,
სასიკვდილოდ მივდევი თავი.
ანგელოსივით მიფრინავს ჭერზე
სხივი — ნიშანი სიკვდილთან ზავის.
ვეღარ მოსწვდება უდაბნოს ჩემსას
ხმა ვერც კეთილი და ვეღარც ავი.

არ მოვა ღმერთი ჩემს სანახავად,
რომ წაიყვანოს სული ეული,
მე არც არავის გავახსენდები ოდენ
მიწად და ფერფლად ქცეული,
თუ მომიკითხავს ორი თუ სამი
მოძმე, სევდისგან გულჩახვეული,
რომ უკანასკნელ გზას გაუყენოს
გაჩორკნილ ყუთით ჩემი სხეული.

და საქართველოს რჩეულ მიწის
ქვეშ გადრკება ჩემი კუბოს ფიცარი, „ძილი
ნებისა!“ — მეტყვის მამული, ჩემი სახატე
და საფიცარი.
კაკ-კუკ... კედლებზე გულმოდგინებით
რომ აკაკუნებს, ვიცი, ვინც არი,
ადამიანო, გააღე კარი, თუ ცოცხალი
ხარ, თუ ხარ მღვიძარი!

მოხუცის ქუფრად შეკრულ წარბებქვეშ
გაქვავებულან უტყვი თვალები,
მნახველნი მრავალ გლოვის, სიავის,
ხანმოუწეველად გარდაცვალების,
ჩავარდნილია მკერდში კისერი,
თითქოს ჭრიალი ისმის მალების,
შეჩვეულები ბაზარში ჯაჯგურს,
მოხრილან მხრები განაწვალები.

ხმაჩახლეჩილი, უშნო, უგვანი,
მოუხეშავი, ტლანქი ბებერი
აყუდებულა კართან იმგვარად,
ვით მეეზოვის აღზრდას შეფერის,
ხელში ლანგარი უჭირავს მძიმე,
დამზერს ხილეულს, თითქოს შეფერილს,
დამზერს სასუსნავს, ვით შესანდობარს,
ადექი, მიდი და მიეფერე.

ის მთაა წმინდა, ლანგარი იგი,
ამო სურნელის მიმომფრქვეველი,
ირგვლივ უწყვია ფესვნი, ღერონი,
არტყია სითბო ჩვენი ტყე-ველის,
ვარაყიანი ვაშლების გროვა, მამულის
უქრობ მზის დამტეველი,
დამწიფებული მარწყვი, მაყვალი,
ღირსნი ჭეშმარიტ საკურთხევლის.

ასდის ქოთანში დამწყვდეულ მნათობს სუნი
ზაფხულის, თაფლის და ხვატის,
მწკლარტე მარცვლების, დამჭკნარ
ვარდების და სიზმარივით
შორეულ ფშატის.
აგერ ქვევრებიც! სამარადისოდ
მე შემარიგებს თუხთუხი მათი
ამ უმადურ და ყრუ სამყაროსთან, რომ
ვერ მიუხვდა ჩემს გულის წადილს.

ჰა, ბოსტნეულიც მოჯარებულა,
შუა ალისფერ წიწაკას ვხედავ,
ტკბილი, მწარე და მარილიანი აწყვია
უხვად ლანგარსა ზედა,
წამოუწყია თითქოს ხორუმი სპილენძის წრეში
უთვალავ მხედარს,
მე, აღტყინებულს ამგვარი ხილვით,
მგონია, გული ისევე მხნედ არს.

ო, საქართველოს ტურფა ბაღნარო,
უნარნარესი ქარით რხეულო,
ჩამესმა შენი სუნთქვა და უცებ გაჰქრა
კედლები, სამზარეულო.
მყრალ სარდაფშიაც განიბნა წამლად
სურნელი ამო და უჩვეულო,
ვინ მოგაგზავნა ასე დროულად,
ბატონო ჩემო, მწევ მეყსეულო!

გულუხვი ძღვენით ასე ლამაზად
ვიღამ გააწყო ესე ლანგარი?
ვინ მიმასპინძლა მე, მიუსაფარს,
დაუყვედრებლად და უანგაროდ,
ვინ ხარ, სიკეთეს, მადლსა და
გარჯას რომ არ დამზარდი ძმაო, ამქარო,
ვისაც არ გინდა, წუთისოფელმა მე
რომ საკუთარ სულთან გამყაროს?

მე ეს ნობათი ხომ არ მანიშნებს,
რომ ცხოვრებაში ვიყავ მშიერი,
განა ამ ხორცით, ხახვით, წიწაკით
გავხდები მარდი, მხნე და ხმიერი?
ხომ არ გგონია, გამოვიბრუჟე და
მოველ შენთან ლოთის იერით?
არა, ეს ჩემი უკვდავებაა,
მე ქვეყნად მისით ვარ ბედნიერი.

შეინახავენ ეს ნაყოფები ჩემეულ ფუნჯის
ეშხს, ძლიერებას,
მძიმე ვაშლები ფართო ტილოზე
გაბრწყინდებიან ოქროს ფერებად,
ღორმუცელობას არ ვმსახურებდი,
ქურუმად ვუდექ მშვენიერებას,
მიტომაც აღარ მაკრთობს სიკვდილის
ცელის მოქნევა და მოღერება.

მიტომაც ახლა ჩემს მახვილ მზერას ვერ
მოატყუებ, ბატონო, ვერა,
თუმც მეეზოვეს დამსგავსებიხარ და
მაგ ბებერი თვალებით მზვერავ,
თუმცა ვეყრები ამ წუთისოფელს,
არ მრჩება ძეი, ფუძე და კერა,
ღვთის მოციქულო, ჩემს უკვდავებას
შენ უკვე ცხადად ხედავ და გჯერა!

უკრაინულიდან თარგმნა
**რაულ ჩილაჩავამ**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ამერიკული იარაღის სახიფათო ძიება საქართველოსთვის

**K STREET-ის ლობისტებიდან დაწყებული „ნიუსვიქის“ ინტერვიუებით დამთავრებული, საქართველო ყველა დონეს ხმარობს, რომ რუსეთის წინააღმდეგ ამერიკული იარაღით შეიარაღდეს, მაგრამ განა ეს მართლა კარგი იდეაა?**

მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდა, ეს პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანა აშშ-ს ერთ-ერთი ყველაზე თავდადებული მოკავშირეა. მან ერაყსა და ავღანეთში ერთ სულ მოსახლეზე გათვლით ყველაზე მეტი სამხედრო გააგზავნა, თუმცა მისსავე ორ ტერიტორიას, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რუსეთის მტრული ძალები დაეუფლნენ.

საქართველოს სულაც არ ერიდებოდა იმის გამხელა, რომ საკუთარ წვლილს აშშ-ს სამხედრო მისიაში ისე აღიქვამდა, როგორც სამსახურს სამსახურის წილ. „ჩვენ ჯარისკაცები ვართ და ამერიკელ ჯარისკაცებს ვეხმარებით“, – 2007 წელს New York Times განუცხადა ერთმა ქართველმა კაპრალმა. – „მერე კი ამერიკა ჩვენს ქვეყანას დაეხმარება“. ავღანეთში ქართველები ჰელმანდის სახიფათო პროვინციაში ნებაყოფლობით მსახურობენ, სადაც დღემდე 7 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

საპასუხო დახმარებად კი საქართველოს ის უნდა, რომ მისი მოსისხლე მტრისგან – რუსეთისგან დაიცვან და რუსების მიერ ოკუპირებულ ქართულ ტერიტორიებზე, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთზე კონტროლის აღდგენაში დაეხმარონ, მაგრამ ჯერჯერობით აშშ-ს, გარდა რიტორიკისა, საქართველოსთვის დიდი ფაქტობრივი დახმარება არ გაუწევია. 2005 წელს საქართველოს ჯორჯ ბუში ეწვია და აქაურობას „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. გასულ თვეს აშშ-ს საზღვაო ქვეითთა გენერალმა ექსპანსიურად შეაქო ქართველების სამსახური ავღანეთში და აღნიშნა: „ქართველებს ბრძოლა უყვართ“.

სააკაშვილის მმართველობის მთავარი ამოცანა ნატოში გაწევრება იყო. აშშ ამ მისწრაფებას მხარს უჭერდა, თუმცა ამაოდ – რუსეთთან ომმა ნატოში გაწევრების სერიოზული შანსები დღის წესრიგიდან მოხსნა და, მართლაც, საქართველო კონფლიქტის დაწყების მომენტისთვის ნატოს წევრი რომ ყოფილიყო, ეს იძულებულს გახდიდა აშშ-სა და ნატოს დანარჩენ წევრებს რუსეთისთვის ომი გამოეცხადებინათ. ახლა საქართველოს ახალი მიზანი გაუჩნდა: ამერიკული შეიარაღება. შარშან მან სერიოზულად დაიწყო იმის ლობირება, რომ აშშ-ს საქართველო „თავდაცვითი იარაღით“ მოემარაგებინა, კერძოდ კი ანტისაჰაერო და ანტისატანკო სისტემებით.

„საქართველოს დაუცველობა სიტუაციას არაფერს შემატებს“, – განუცხადა სააკაშვილმა Newsweek-ს. „საქართველო რუსეთს თავს ვერ დაესხმება, მაგრამ დაუცველი საქართველო რუსეთისთვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს – ის ჩვენი ხელისუფლების შეცვლას სამხედრო ძალის გამოყენებით მოინდომებს... დღეს არსებული სამხედრო თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აშშ თავდაცვითი შეიარაღების სიმძლავრეებით დაგვეხმარება“.



აშშ არასდროს ყოფილა საქართველოს განსაკუთრებულად დიდი მომმარაგებელი. საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა აღჭურვილობა და შემდეგ სხვა ყოფილ საბჭოთა და ვარშავის პაქტის ყოფილ ქვეყნებზე იყო დამოკიდებული გადაიარაღების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ პენტაგონმა რამდენიმე სამხედრო წვრთნა საქართველოში მოაწყო, ეს წვრთნები ქართულ ჯარს ერაყსა და ავღანეთში დისლოცირებისთვის ამზადებდა.

მაგრამ ამერიკული შეიარაღების საკითხი ახლა იმისთვის ამოტივტივდა, რომ აშშ-საქართველოს ურთიერთობათა მდგომარეობა ზუსტად განისაზღვროს. საქმე ისაა, რომ საქართველო და მისი მოკავშირეები ვაშინგტონში ამტკიცებენ: თუ აშშ საქართველოს არ მიაწვდის შეიარაღებას, ეს წარმოსახვითი „გადატვირთვის“ გამო რუსეთისადმი მონური მორჩილების ტოლფასი იქნება. ამერიკელი სენატორი ჯონ მაკკეინი შეიარაღებით საქართველოს უზრუნველყოფის მთავარი ადვოკატია. მარტში მან კონგრესში მოსმენებზე განაცხადა, რომ „იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთს ჯერ კიდევ აქვს ოკუპირებული ტერიტორიები, რომლებიც ნამდვილად ქართულია და კვლავინდებურად ემუქრება საქართველოს, ჩემთვის რთულია იმის გაგება, რომ ჩვენ საქართველოს თავდაცვით იარაღსაც კი არ ვაწვდით. ეს გაუგებარია“.

როგორც იტყობინებიან, საქართველოს ბოლო ელჩი თანამდებობიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან ვერ შესძლო შეიარაღების მიღება ამერიკიდან. საქართველომ შარშან მარტოოდენ ოთხ ყველაზე წარმატებულ ლობისტურ ფირმას ვაშინგტონში 41.5 მილიონი გადაუხადა, რითაც ბევრად გაუსწრო თავისი კატეგორიის ქვეყნებს. ამ ლობისტურ ძალისხმევაში შედიოდა პრესაში აგრესიული კამპანია, რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა დე ფაქტო ემბარგო დააწესა საქართველოსთვის იარაღის მიწოდებაზე იმ დროს, როდესაც ამგვარი ემბარგოს დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობდა.

ერთი საკვანძო, მაგრამ პასუხგასაცემი კითხვა ასეთია – საქართველო შეიარაღებას აპირებს, თუ სურს, რომ აშშ-მ შეიარაღება მას დახმარების სახით მისცეს. როდესაც ამ კითხვით საქართველოს ოფიციალურ პირებს მიმართავენ, ისინი პასუხს გაურბიან და ამბობენ, რომ დისკუსია ასე შორს ჯერ არ შესულა, მაგრამ საქართველოსთვის იარაღის შესყიდვაზე ნებართვის მიცემა სხვა საკითხია, ხოლო აშშ-ს გადასახადის გადამხდელთა მიერ მათი შეიარაღების დაფინანსება სხვა. თუმცა ციფრები იმის ვარაუდს აჩენს, რომ საქართველო ვერასდროს შესძლებს დამოუკიდებლად შეიძინოს ამერიკული აღჭურვილობა.

საქართველო ღარიბია, ხოლო ამერიკული იარაღი ძვირი.

თუ საქართველოს მართლა სურს საკუთარი ფულით იარაღის შეძენა, მაშინ უკეთესი იქნება, თუ ის შეიარაღების უფრო იაფ წყაროს მიაგნებს. რუსეთმა საქართველოს ბევრი ყოფილი მომმარაგებელი, განსაკუთრებით აღმოსავლეთ-ევროპასა და ისრაელში, შეაშინა და მათ საქართველოსთან თანამშრომლობის დამთავრება მოსთხოვა, მაგრამ სხვა მწარმოებლები, ისეთები, როგორიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია ან თურქეთი, ნამდვილად შესძლებენ საქართველოსთან თანამშრომლობას.

მაგრამ არც ისაა გარკვეული, რამდენად არგებს საქართველოს კბილებამდე შეიარაღება. რუსეთის სამხედრო ძალა იმდენად ძლიერია ქართულზე, რომ დამატებითი შეიარაღება საკამათო საკითხია. უფრო უარესიც: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არაერთი განცხადების თანახმად, ის მხოლოდ „თავდაცვითი“ შეიარაღების მიღებას ცდილობს, ნებისმიერი თავდაცვითი შეიარაღება აადვილებს აგრესიას იმით, რომ კონტრშეტევის წინააღმდეგ მიმართულ თავდაცვას აუმჯობესებს.

ამ წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ სტატიაში, რეგიონის ორი სპეციალისტი გორი ველტი და სამუელ ჩარაპი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს შეიარაღებით მომარაგება მარადიული კონფლიქტის მენტალიტეტს სამუდამოდ შეინარჩუნებდა, „ბერლინის კედლის მენტალიტეტს“ და გზას გადაუღობავდა იმ ნაბიჯებს, რომლებიც საქართველოს მართლა სჭირდება, თავის დაკარგულ ტერიტორიებთან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. ველტი და ჩარაპი წერდნენ, რომ ეს არის ნელი, მტკივნეული პროცესი, რომელიც „კონფლიქტის ტრანსფორმაციის შედეგად, ჩააცხროზს დაძაბულობას, კონფლიქტის ხაზებზე მცხოვრებ ადამიანებს ერთმანეთთან დააახლოებს, შექმნის ნდობას, სავაჭრო კავშირებს და ხელისუფლებებს შორის დაარეგულირებს ურთიერთობას“.

The Atlantic

# ქართველმა ხალხმა მისალმება მიიღო

**9 მაისს მიხეილ სააკაშვილმა გვირგვინით შეამკო მელიტონ ქანთარიას საფლავი, ქართველი მეომრისა, რომელმაც მიხეილ ეგოროვთან ერთად 66 წლის წინათ რეიხსტაგზე აღმართა გამარჯვების დროშა.**

საბჭოთა კავშირის გმირის საფლავზე სოფელ ჯვარში საქართველოს პრეზიდენტი ქალაქ ზუგდიდიდან ჩავიდა. მან იქ გახსნა ახალი აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, თავისი ხელით დარგო „ფიჭვი“. ამრიგად მიხეილ სააკაშვილმა დაარღვია მრავალწლიანი ტრადიცია, როდესაც ომის ვეტერანებს დედაქალაქის ვაკის პარკში, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან ულოცავდა ხოლმე გამარჯვების დღეს.

– მელიტონ ქანთარიამ თავისი ცხოვრება ლტოლვილობით დაასრულა, ის გამოდევნეს თავისი სამშობლოდან, – თქვა სააკაშვილმა. – მისი საფლავიც კი დღეს პრაქტიკულად დევნილობაშია.

შეგახსენებთ, რომ ქანთარიამ, რომელიც მთელი ცხოვრება აფხაზეთში გაატარა, 1993 წელს დევნილად იქცა. ის მოსკოვში გარდაიცვალა და მისი ცხედარი საქართველოში გადმოასვენეს.

ჟურნალისტებთან საუბარში საქართველოს ლიდერს ერთხელაც არ უხსენებია არც რუსეთი, არც რუსეთის პრეზიდენტი, რომელმაც გამარჯვების დღე მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს მიულოცა. სამაგიეროდ, განაცხადა, რომ მას ძალიან თბილად მიულოცეს უკრაინისა და ბელარუსის კოლეგებმა. კერძო საუბრებში მმართველი პარტიის წარმომადგენლები სააკაშვილის მოქმედებას მეტად ხელსაყრელ პიარ-სვლას უწოდებენ. ისინი და სახელმწიფო ჩინოვნიკები იმეორებენ ფორმულირებას, რომელიც წარმოთქვა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. მისი სიტყვების თანახმად, „ქართველი ხალხი არ მიიღებს დიმიტრი მედვედევის მილოცვას“.

ვაშაძე გამოვიდა აგრეთვე ერთი ხმამაღალი სკანდალის ინიციატორად, როდესაც წამოაყენა წინადადება გამარჯვების დღე აღინიშნოს 8 მაისს. იმ დღეს, როდესაც „მას აღნიშნავს მთელი კაცობრიობა“ და... საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. ოპოზიციამ თავისებურად აღნიშნა ეს დღე. პარლამენტის ექს-სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ გამარჯვების დღესთან დაკავშირებულ სპეკულაციას სამარცხვინო უწოდა. კიდევ ერთმა ოპოზიციონერმა კახა კუკავამ მოუწოდა ხელისუფლებას „ბოლო მოუღოს ნეოფაშისტურ გამოხდომებს“ და მას შეახსენა დიდების მემორიალის აფეთქება ქუთაისში. „ქართულმა პარტიამ“ კი 9 მაისს დაიწყო მასშტაბური ანტისამთავრობო გამოსვლები ერთბაშად აღმოსავლეთ საქართველოს რამდენიმე რაიონში.

– მე რომ ხელისუფლებაში ვიყო, რეაგირების გარეშე არ დავტოვებდი რუსეთის პრეზიდენტის მიმართვას ქართველი ხალხისადმი და რუს ხალხს მივულოცავდი გამარჯვების დღეს, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს კი მადლობას გადავუხდიდი პირადად, – განაცხადა საქართველოს ექს-პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. – მან გადადგა სწორი ნაბიჯი, მონახა თავის თავში ვაჟკაცობა მიემართა ქართველი ხალხისთვის, გამოეხატა მზადყოფნა თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისთვის.

Известия

## დედამიწის ზურგზე



**იოზე კოსმოსური ვულკანების საიდუმლო ამოხსნილია: იუპიტერის თანამგზავრზე აღმოაჩინეს ლავის უზარმაზარი ზღვა**

ლავის არსებობა ხსნის ვულკანურ აქტივობას, რაც ადრე შენიშნეს იოზე. ლავის შემადგენლობაში შედის განსაკუთრებული მაგმატური ქანი, რომელსაც შეუძლია დაგროვება და დენის გადაცემა. ქანის ზღვის სისქე, რომელიც იოს ზედაპირის ქვეშაა, 50 კილომეტრს აჭარბებს. იოზე ვულკანები, დედამიწისგან განსხვავებით, განთავსებულია ყველგან.

* * *

**„ვიკილიკსმა“ ისაუბრა უხილავ „ბრძოლაზე არქტიკისთვის“ – ბრძოლა რუსეთს, აშშ-სა და კანადას შორის მიმდინარეობს მთელი ძალით**

მართალია, რუსეთის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები გვარწმუნებენ, რომ „არანაირი ბრძოლა“ არ იგეგმება ამ სასარგებლო წიაღისეულებით მდიდარი რეგიონისთვის, მაგრამ ამერიკელი დიპლომატების გამოქვეყნებული დეპეშები იტყობინებიან, რომ ქვეყნები, რომლებიც არქტიკის გვერდით იმყოფებიან, ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ხელში ჩაიგდონ ტერიტორია.

* * *

**ააფეთქეს ჩინეთის ბანკი და შემდეგ ცეცხლი გაუჩინეს მას, როდესაც იქ ხალხი იყო – დაიღუპა ათობით და დაიჭრა 40 კაცი**



ტერორისტული აქტი მოხდა ტიბეტის ავტონომიური მაზრის განსას პროვინციაში, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთითაა. უცნობმა პირმა შენობაში შეაგდო ბომბი – შეიძლება ეს იყო „მოლოტოვის კოქტეილი“. ცეცხლმოდებული ხალხი ფანჯრებიდან ხტებოდა.

* * *

**იაპონელებმა გამოააშკარავეს რუსეთის ბოროტი გეგმები კურილთან დაკავშირებით: მოსალოდნელია ახალი გამწვავება**

იაპონელი ჟურნალისტების მონაცემებით, სადავო კუნძულებს 15 მაისს მოინახულებენ ვიცე-პრემიერი სერგეი ივანოვი, მინისტრები ვიქტორ ბასარგინი და ანდრეი ფურსენკო. როგორც ელოდებიან, ტოკიო კვლავ გამოთქვამს პროტესტს, მიაჩნიათ სათანადო წყაროებს. დაძაბვის ხანმოკლე პერიოდი, რაც გამოიწვია სტიქიის დარტყმამ და რუსეთის მიერ გაწეულმა დახმარებამ, ამით უნდა დამთავრდეს.



* * *

**თვითმკვლელებმა ბინ ლადენის მკვლელობისთვის შური იძიეს, დახოცეს 80 კაცი პაკისტანში**

ბევრი დაზარალებულის მდგომარეობა მძიმეა, ამიტომ დაღუპულთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს. თავდასხმა მოხდა არმიის ცენტრზე. ბინ ლადენის გარდაცვალების შემდეგ ალ-ქაიდა და მისი მოკავშირეები სხვა ქვეყნებში იმუქრებოდნენ, რომ შურს იძიებდნენ და გააგრძელებდნენ შეტევებს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 89. შაბათი, 14 მაისი, 2011 წელი.

## ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო

***ნამდვილად** ასე იყო, სამშენებლო კომპანია „ცენტრ-პოინტმა“, იმ ერთი ზღაპრისა არ იყოს, წლების მანძილზე ჭაობის გომბეშოსავით იბერა, იბერა და ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი საქციელით აყროლებულ იმავე ჭაობში ტყაპანი მოადინა. თუმცა, რაც უნდა საოცრად მოგეჩვენოთ, ამ მარცხით თავად გომბეშომ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში „ცენტრ-პოინტმა“) კი არა, გაძვალტყავებული ქვეყნის ცხოვრებაგამწარებულმა ხალხმა იზარალა, რომელსაც ბინების შესაძენად წვითა და დაგვით ნაგროვები გროშები წყალში გადაეყარა.*

*არადა ყველას გვახსოვს ამ სახელგავარდნილი სამშენებლო კომპანიის თავკაცი და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ვახტანგ რჩეულიშვილი, თავის დროზე საქართველოში შვედური სოციალიზმის აშენებას რომ გვპირდებოდა, როგორი ნაზუქივით მსუქანი და ფუმფულა „თამასუქებით“ იზიდავდა მოსახლეობას: მართალია გლობალურმა კრიზისმა ქვეყანა და მასთან ერთად მშენებლობა დიდ გასაჭირში ჩააგდო, — ამბობდა ის ტელეეთერით გამოსვლისას, — მაგრამ ჩვენ ისე გვაქვს საქმე აწყობილი, ასეთი კრიზისები კენჭსაც ვერ გაგვაგდებინებსო. იფიქრონ იმ მშენებლებმა, რომლებიც ბანკების კრედიტებზე არიან მიბმული, თორემ ჩვენ რა გვაქვს საწუწუნო და სადარდებელი, ბინების მოსურნე მოსახლეობისგან იმდენი თანხებია შემოსული, ოღონდ მათი ათვისება შევძლოთ და არც ერთი წამოწყებული მშენებლობის დასრულება არ გაგვიჭირდებაო. ეგ კი არა, ბატონი ვახტანგი იმის პირობასაც იძლეოდა, თუ ვინმეს გადანახული თანხები აქვს და ვერ გამოუყენებია, შემოიტანოს ჩვენთან და კაი მოგებას ნახავს, ბანკები თუ ანაბარზე 9-10 პროცენტს იძლევიან, ჩვენ სამჯერ მეტს გადავუხდითო.*

# „ცენტრ-პოინტმა“ ტყაპანიდო...

## ხალხს ბინებს ჰპირდებოდნენ და „ჰაერს“ ასყიდებდნენ!

ვერ გეტყვით ძველი პოლიტიკოსისა და ამჟამინდელი ბიზნესმენის ამ ბოლო „ვარიანტზე“ რამდენი „მეანაბრე“ წამოეგო, მაგრამ ბინის მსურველთაგან, რომელთაც თანხები წინასწარ გადაიხადეს და ბინის ნაცვლად ხელთ „ჰაერი“ შერჩათ, რომ ათასობით მოქალაქე დარჩა პირში ჩალაგამოვლებული, ამას თავად „ცენტრ-პოინტის“ მესვეურთა თავდაჯერებულობაც ვეღარ ანეიტრალებს. თუმცა, ამათი მოქმედებიდან, დღეის გადასახედიდან თუ ვიმსჯელებთ, სიცუღლუტე და თაღლითობა უფრო იკვეთება, ვიდრე თავდაჯერებულობა. მათ, როგორც ჩანს, მშვენივრად იცოდნენ, რომ შენობების ნაცვლად პირამიდას აგებდნენ და პასუხისმგებლობიდან თავის დაძვრენის მიზნით „მშვენიერ გამოსავალს“ მიაგნეს.

კერძოდ, რა „გამოსავალზეა“ ლაპარაკი? ყალთაბანდურ, უფრო სწორად, თაღლითურ ხელშეკრულებებზე, რომელიც მომავალ მობინადრეებთან ფორმდებოდა არა უშუალოდ „ცენტრ-პოინტთან“, არამედ იმ ორგანიზაციასთან, რომელსაც ბინა უნდა აეშენებინა. ბინის შეძენის მსურველი საქმეს იჭერდა იმ შპს-სთან ან ამხანაგობასთან, რომელიც პროექტის შემსრულებლად ითვლებოდა, უხდიდა ბინის საფასურს და გულის ფანცქალით ელოდა მშენებლობის დასრულებას. თუმცა ამაოდ. **„ცენტრ-პოინტი“, რომელიც ამ ხელშეკრულების მიხედვით პასუხს არ აგებდა მშენებლობის დამთავრებაზე, მოსახლეობიდან შემოსულ თანხებს განკარგავდა პირადი სურვილისამებრ, ნაცვლად იმისა, რომ ფინანსები მოხმარებოდა არსებული პროექტის განხორციელებას, ის ამ ფულით იწყებდა ახალი პროექტის შედგენას და ახალ-ახალი თანხების მოზიდვას. და ეს გრძელდებოდა წლობით, იბერებოდა ფინანსური პირამიდა, რომელიც ბოლოს და ბოლოს, როგორც პრეზიდენტი სააკაშვილი იტყოდა, მეზობელი ქვეყნების ეკონომიკასავით ჩამოიშალა.**

დიახ, პირამიდა ჩამოიშალა, მაგრამ მას თან არ ჩაუტანია ის თანახები, რომელიც „ცენტრ-პოინტმა“ მოსახლეობიდან პიარის გზით თაღლითურად მოიზიდა. მან დიდი მოგება მოუტანა მშენებელ კომპანიას, ხოლო ბინების მომლოდინე კლიენტებს ხელთ შპს-ებთან და ამხანაგობებთან გაფორმებული ფარატინა ხელშეკრულებები შერჩათ. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, გაცუცურაკებული მოსახლეობა ადგა და თავად მოტყუებელს მიადგა. მაგრამ არც „ცენტრ-პოინტი“ აღმოჩნდა იმის ჩიტი, ხმა ჩაეკმიდა და დაზარალებულთათვის პასუხის გაცემა გასძნელებოდა. ჰოდა მანაც, ისე რომ წარბი არ შესთამაშებია, კარს მიმდგარ „პაციენტებს“ რიხიანად განუცხადა: ნუ წუხართ, ბატონებო, მართალია ჩვენ თამაშიდან გავედით, მაგრამ აგერ გამოჩნდა ახალი კომპანია „დექსუსი“, რომელმაც ჩვენი ვალდებულებები მთლიანად გადაიბარაო. მას ჰყავს თავისი დირექტორი, ბატონი გიორგი ქანანაშვილი და თუ რამე სადავო გაქვთ, მასთან გაარკვიეთო.

**თავის მხრივ „დექსუსის“ ხელმძღვანელობაც არ დაიბნა და უბრალო, მარტივი გადაწყვეტილება მიიღო — „ცენტრ-პოინტის“ მიერ ერთხელ უკვე გატყავებული ხალხი ხელმეორედ გაეტყავებინა(!). საამისოდ მიზეზიც გამოძებნა: იცით რა, ბატონებო, — განუცხადა მან მოტყუებულ მობინადრეებს, — „ცენტრ-პოინტს“ თავის დროზე მშენებარე ბინების ფართობში დამატებული ღირებულების გადასახადის შეტანა დავიწყებია და ახლა მიგიწევთ ამის გადახდა. ჩვენ მშენებლობას დავასრულებთ, მაგრამ ვინც დღგ-ს არ გადაიხდის, ბინის მიღებაზე პრეტენზია ტყუილად ექნებაო.**

სწორედ ამაზე იტყვიან, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. თუ არა ახირება და გამომძალველობა, „დექსუსს“ რატომ უნდა გასჩენოდა პრეტენზია მობინადრეებისგან დღგ-ის გადახდევინებისა, მაშინ, როცა მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ამის თაობაზე საერთოდ არაფერია ჩაწერილი? თუ ხელშეკრულება გაფორმებულია და ფასიც გათვალისწინებულია, რა თქმა უნდა, დღგ ამ ფასიდან მშენებარე კომპანიას უნდა გადაეხადა და არა მობინადრეს. მათ უბრალოდ გამოიჭირეს ადამიანები, რომლებიც ქვეყანაში გამეფებული უკანონობის წყალობით ყველაფერს კარგავენ და აიძულებენ უკვე ფასგადახდილ ბინაში დამატებით თანხები ააფცქვნან. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სულაც არ არის გამორიცხული, „დექსუსმა“ თავის მხრივ საკუთარი უფლება-მოვალეობანი სხვა ახალ კომპანიას გადააბაროს, რომელიც მობინადრეების „გულის მოსაგებად“ დამატებით კიდევ ერთ ახალ გადასახადს გამოიგონებს(!ძ.

მარტო დღგ-ის გადახდაზე რომ იყოს ლაპარაკი, კიდევ რა უჭირდა. იმ ნიხრით, როცა ერთი კვადრატული მეტრი ფართობის ფასი დაახლოებით 480 აშშ დოლარი იყო, დღგ-ის შესაბამისი გადასახადი უტოლდება 86 დოლარს, მაგრამ, როგორც ცნობილია, „დექსუსმა“ თბილისში, გურამიშვილის 64-ში მშენებარე კორპუსის დასამთავრებლად ყოველ კვადრატულ მეტრზე დამატებით მოითხოვა 200 დოლარის ეკვივალენტი ლარში დღგ-ის ჩათვლით, ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება და მშენებელს უფლებას აძლევს უძრავი ქონების მაზანდის ზრდის კვალობაზე სამშენებლო ფართობის ფასი (დადებული ხელშეკრულების მიუხედავადძ პერმანენტულად ზარდოს.

აღარაფერს ვამბობ ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე (იგი „ცენტრ-პოინტის“ ერთ-ერთი დამფუძნებელიაძ, რომელმაც საჯაროდ გაახმაურა, რომ კლიენტთა წინაშე არსებული ვალდებულებების პირნათლად მოხდის მიზნით „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელმა მთელი თავისი ქონება გადასცა „დექსუსს“. როგორც გაზეთი „ბანკები და ფინანსები“ (9-15 თებერვალი, 2011 წ.ძ იუწყება, ქალბატონმა რუსუდანმა იცრუა, როცა განაცხადა, რომ თავისი კუთვნილი 1 100 000 აშშ დოლარი გადასცა კომპანია „დექსუსს“. 2010 წლის 7 სექტემბერს გაფორმებულ მინდობილობაში, რომელიც „ცენტრ-პოინტსა“ და „დექსუსს“ შორის შედგა, ხსენებული ფული არსად ნახსენები არ არის. ეს როგორ გავიგოთ, ქალბატონი კერვალიშვილი, რომელიც „ცენტრ-პოინტის“ დამფუძნებელიც გახლავთ და პარლამენტის ვიცე-სპიკერიც, დავიჯერო, ერთი ხელით ქვეყნის კანონებს აწერს ხელს და მეორეთი ხალხს ფულებს აფცქვნის?!

**ამ დღეებში ხალხმა ტელევიზიით იხილა ხოშტარიას ქუჩაზე „დექსუსის“ მიერ დასრულებული საცხოვრებელი კორპუსი, რომლის საზეიმო გახსნაში თბილისის სახემლიმარი მერი გიგი უგულავაც მონაწილეობდა. მისი განცხადებით, ახალმა პროექტმა „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“ დედაქალაქის მცხოვრებლებთან ერთად დიდი სიკეთე მოუტანა მშენებლებსაც, რომლებსაც ბინების რეალიზაციის პრობლემა მოეხსნათ. მშენებლებს, კი ბატონო, მაგრამ არა მგონია, აღფრთოვანებული იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც ამ კორპუსში ერთხელ შეძენილი ბინის მეორედ შესყიდვა მოუწიათ. ერთიორმა ტელეეთერითაც გამოხატა უკმაყოფილება: აღარ ვიცით ეს 18-20 ათასი დოლარი, რომელსაც დამატებით გვთხოვენ, საიდან გამოვქექოთო.**

არ გამოქექავ, ჩემო კარგო და ბინაც დაგეკარგება და მასში ერთხელ უკვე გადახდილი ფულიც. ეს არც პირველი შემთხვევა იქნება საქართველოში და არც უკანასკნელი, სადაც მთავრობას მამალმამალ ტყუილებსა და სიცუღლუტე-თაღლითობაში ცალკეულმა ფირმებმა და კომპანიებმა მარტო კი არ მიბაძეს, კიდევაც გადაასწრეს. „ცენტრ-პოინტი“ ამის საუკეთესო მაგალითა.

**ოთარ ხუციშვილი**

## სავალუტო კურსი

**სადღეისოდ საქართველოს საფინანსო ბაზარზე ისეთი მოვლენები ვითარდება, რომ იმის პროგნოზირებას, თუ რა მოელის ლარს ახლო მომავალში — გამყარება თუ გაუფასურება — დარწმუნებული ვართ, ვერც ერთი საღ ჭკუაზე მყოფი ექსპერტი ვერ შეძლებს, „წინასწარმეტყველური სიზმარი“ თუ არ ნახა. ეკონომისტებთან ბოდიშს კი ვიხდით ამ თქმისთვის, მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ ლარის კურსის ცვალებადობის (რომ არ ვთქვათ ლოგიკას მოკლებული ხტუნვის) პროგნოზირება კონკრეტულ გათვლას, ფაქტობრივად, არ ექვემდებარება.**

# ლარი — დოლარი: აიწონა თუ დაიწონა?..

ჯერ იყო და, დოლარის მიმართ ლარის გაუფასურებამ 1,80-იან ნიშნულს ისე გადააბიჯა, ბევრს ეგონა, „თავისით“ მოხდა და მოფიქრებული გეგმის შედეგი სულაც არ იყოო. მერე, ასევე ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, თანდათან, თუმცა კი განუხრელად, ლარის კურსმა „ჩამოჩოჩება“ დაიწყო და ბოლოს 1,63-იან ნიშნულზე შეჩერდა. ხოლო ამჟამად ბოლო რამდენიმე დღეა, რაც ეროვნულ სავალუტო ბაზარზე კვლავ დიდი გაურკვევლობა სუფევს: დოლარმა 1,63 ლარის ნიშნულიდან უცბად 1,68 ლარის მაჩვენებელს ისე „აარტყა“, ხალხმა საქმეში გარკვევა ვერ მოასწრო. ოფიციალურად კი ამ დროს აცხადებენ, რომ დოლარის (ასევე სხვა ვალუტისძ მიმართ ლარი მხოლოდ უმნიშვნელოდ, 1,0-1,5 პროცენტით გაიაფდაო. **ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს მტკიცების სიყალბეს, თითქოს ლარის კურსი „მცურავია“ და მისი განმსაზღვრელი ფაქტორი მხოლოდ ეკონომიკური ვითარებაა.**

ბუნებრივია, ის, ვისაც დანაზოგი დოლარებით ჰქონდა, ბოლო დრომდე, ვიდრე ლარი მყარდებოდა, ზარალობდა, ახლა კი ამ დანაკლისის გარკვეულწილად შევსების შესაძლებლობა მიეცა. ლარებით დანაზოგის პატრონები კი დღესდღეობით (თუმცა ისევე, როგორც ყოველთვისძ საკუთარი ინტუიციის იმედად უნდა იყვნენ და თავად განსაზღვრონ, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება ლარის გაუფასურების ამჟამინდელი ტენდენცია, რადგან სპეციალისტები ამის რამდენადმე საიმედო გრძელვადიან პროგნოზს ვერ აკეთებენ. საქმე ის არის, რომ საქართველოში დოლარიზაციის ერთობ მაღალი დონეა, ამდენად, როგორც ჩანს, ინფლაციის მაღალი ტემპის პირობებში, მის მოთოკვას ხელისუფლება და ეროვნული ბანკი მიმოქცევიდან ლარის ჭარბი მასის თუნდაც ნაწილის „ამოქაჩვით“ ცდილობენ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამასთან დაკავშირებით, მართლდება საექსპერტო შეფასებები, რომ ეკონომიკის განუვითარებლად (ჩვენ კი, რამდენადმე მნიშვნელოვანი მასშტაბით, ფაქტობრივად, არაფერს ვაწარმოებთძ, ინფლაციის შეჩერება და მისი თუნდაც „ერთნიშნა კალაპოტში“ დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელია.

ლარისა და დოლარის ბოლომდე გაურკვეველი „ოჯახური ურთიერთობების“ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ისიცაა, რომ, თავის მხრივ, დოლარიც თანდათანობით სუსტდება: აპრილში ოქროს ფასმა 7 პროცენტით მოიმატა, რაც ბოლო პერიოდის უცვლელი ტენდენციაა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ევროსთან მიმართებაში დოლარი შარშან 12 პროცენტით გაიაფდა. ექსპერტები ასევე ვარაუდობენ, რომ თუ დოლარის დასუსტება გაგრძელდება, ახლა გაძვირების ჯერი შესაძლოა ვერცხლზეც მიდგეს. თუმცა ანალიტიკოსები იმ ეჭვსაც გამოთქვამენ, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნება იმის გამო, რომ ვერცხლს ფართოდ იყენებენ მრეწველობაში და მისი ფასის ხანგრძლივი დროით საგრძნობი მომატება უამრავ საწარმოო სფეროს შესაძლოა კატასტროფად გადაექცეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ ლარი-დოლარის ურთიერთობათა ქანქარის აქეთ-იქეთ მოძრაობის პირობებში დანაზოგი, უმჯობესია, ძვირფასი ლითონის სახით შეინახოთ, მაგრამ ამ გზაზე, პატივცემულო მკითხველო, სულ მცირე ორ დიდ წინააღმდეგობას გადაეყრებით. პირველი ისაა, რომ ძვირფასი ლითონის რაიმე სოლიდური ნაკეთობის შესაძენად არანაკლებ სოლიდური თანხის პატრონი უნდა იყოთ, რაც ჩვენი მოსახლეობის ცხრა მეათედი ნაწილისთვის სრული უტოპიაა. მეორე მომენტი კი ის გახლავთ, რომ თუნდაც შეძლოთ ძვირფასი ლითონის ნაკეთობათა შეძენა, როდესაც ფული დაგჭირდებათ, იმ ნაკეთობებს თქვენგან არავინ შეიძენს იმ ფასად, რა ფასადაც იყიდეთ — მხოლოდ ლითონის ფულს გადაგიხდიან. ამდენად, მაინც ზარალში აღმოჩნდებით.

მაშ, რას გვირჩევთო, შესაძლოა იკითხოს ვინმემ. ისევ საკუთარი გულის კარნახს უნდა ენდოთ, ბატონებო, არჩევანის გაკეთებისას, სხვას ბევრს ვერაფერს გეტყვით, რადგან ჩვენც ამ დღეში ვართ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

◎ ჭადრაკი

# შესანიშნავ შვიდეულში ორი ქართველია



**„შერატონ მეტეხი პალასში" გრძელდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 26 ქვეყნის 130 წარმომადგენელი მონაწილეობს. ტურნირზე ზედიზედ 5 გამარჯვება მოიპოვა ლიტველმა ვიქტორია ჩმილიტემ.** მე-6 ტურში მისი წინსვლა მსოფლიოს და ევროპის ექსჩემპიონმა ანტოანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) შეაჩერა. ამ უკანასკნელმაც 5 ქულას მოუყარა თავი და ერთპიროვნულ ლიდერს წამოეწია. იყოჩაღეს ქართველმა დიდოსტატებმაც: ბელა ხოტენაშვილმა ახალგაზრდა ნაზი პაქიკიძეს აჯობა, ლელა ჯავახიშვილმა ლილით გალოიანს (სომხეთი) მოუგო. კატერინა ლახნომ (უკრაინა) ნინო ხურციძეს სძლია, პია კრამლინგმა (შვედეთი) – ანასტასია ბოდნარუკს (რუსეთი), მარია რომანკომ (რუსეთი) – ანა უშენინას (უკრაინა). ამდენად, 6 ტურის შემდეგ ჩმილიტემ, ხოტენაშვილმა, ჯავახიშვილმა, ლახნომ, კრამლინგმა, სტეფანოვამ და რომანკომ 5-5 ქულა მოაგროვეს.

ჩემპიონატის მონაწილენი დღეს დაისვენებენ. ხვალ კი მე-8 ტურის პარტიები გაიმართება.

**გივი გაგუა**

# ჯობავა პირველია

**სარაევოში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავაც მონაწილეობდა.** მან 6 შეხვედრა მოიგო, 3 ყაიმით დაამთავრა, მოაგროვა 21 ქულა (მოგება – 3, ყაიმი – 1, წაგება – 0 ქულა) და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა. 20-20 ქულით მეორე-მეოთხე ადგილები ჰრანტ მელქუმიანმა (სომხეთი), მირჩეა-ემილიან პარლიგრასმა (რუმინეთი) და ბორკი პრედოევიჩმა (ბოსნია-ჰერცოგოვინა) გაინაწილეს. ტურნირის რეიტინგფავორიტმა არკადი ნაიდიჩმა (გერმანია) 19 ქულას მოუყარა თავი და მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა.

**ლაშა დიდია**

◎ გუშინ

## კალათბურთი

**სუპერლიგის პლეი-ოფის მესამე შეხვედრა.** „სოხუმი" – „არმია" 82:77 (სერიის ანგარიში 1:2). მეოთხე მატჩი სპორტის სასახლეში დღეს 14 საათზე დაიწყება.

**ნბა-ს აღმოსავლეთ კონფერენციის პლეი-ოფის მეოთხე შეხვედრა.** „ატლანტა" – „ჩიკაგო" 73:93 (სერიის საბოლოო ანგარიში 1:3). **ზაზა ფაჩულიას** მონაგარი: 1 ქულა, 13 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 შედეგიანი გადაცემა.

◎ რაგბი

# დიდი შესვენების შემდეგ

**თბილისში 24 მაისიდან 20 წლის მორაგბეთა მსოფლიოს ასპარეზობა დაიწყება. ამ ტურნირთან დაკავშირებით ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ოვალური ბურთის ოსტატები 11 ივნისამდე დაისვენებენ. დიდი პაუზის წინ მე-5 ტურის მატჩები გაიმართა. ქუთაისის „აიამ" ფოთში „ლელოს" უმასპინძლა და დაძაბულ პაექრობაში 31:25 გაიმარჯვა, მოაგროვა 10 ქულა და კვლავაც ერთპიროვნულად ლიდერობს.**

**გაუწყებთ სხვა შეხვედრათა შედეგებს:** „ყოჩები" – „არმია" 6:26, „ხარები" – „ლოკომოტივი" 5:22, „აკადემია" – „არმაზი" 26:26.



**აი, როგორია გათამაშების ცხრილი 13 მაისისთვის:**

„აია" – 10 (144:62), „არმია" – 7 (110:92), „ლელო" – 6 (145:105), „ლოკომოტივი" – 6 (118:86), „არმაზი" – 5 (96:120), „აკადემია" – 4 (89:106), „ხარები" – 2 (49:108), „ყოჩები" – 0 (75:147) ქულა.

◎ წყალბურთი

# ელინებმა შინაც იმარჯვეს

**საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის E შესარჩევ ჯგუფში თამაშობს საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის გუნდებთან ერთად.** ჩვენმა ბიჭებმა პირველ ტურში შინ ინგლისელებს 9:3 სძლიეს, შემდეგ, ასევე, თბილისში, ბერძნებთან დამარცხდნენ (8:11). ამ გუნდების განმეორებით მატჩს ათენმა უმასპინძლა. სტუმრები (ჭუმბურიძე, ლაითაძე, ქენქაძე, პოპოვიჩი, კორდიჩი, ხვედელიანი, ჩომახიძე, ბალათურია, რურუა, გეგელაშვილი, ნიკოლეიშვილი, ქავთარაძე, ნამორაძე, მთავარი მწვრთნელი დავით ანიძე) ელადაში შესუსტებული შემადგენლობით ჩავიდნენ, რადგან იტალიის „ბრეშიამ" მარკო ელეზი და ხორვატიის „პრამორიცამ" მარკო ელაჩა ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვეს. ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია ორივე კლუბს კი დააჯარიმებს, მაგრამ ჩვენს ნაკრებს ამით მდგომარეობა არ შეუმსუბუქდება.



საბერძნეთის დედაქალაქში ქართველმა წყალბურთელებმა 6:16 (2:1, 3:6, 0:5, 1:4) წააგეს, თუმცა სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე რჩებიან ელინელების შემდეგ. 2 ივლისს მანჩესტერში დიდი ბრიტანეთი საქართველოს დაუპირისპირდება. ჩვენებურებს 5 ბურთის სხვაობით მარცხიც ხელს აძლევს ჯგუფში მე-2 ადგილის დასაკავებლად და პლეი ოფში გასასვლელად. იმედია, ამ შანსს გამოიყენებენ.

**ლექსო ცინცაძე**

◎ თარიღი



**ისეთი დიდი გამარჯვება და სახალხო ზეიმი, რაც 1981 წელს ვარდობისთვის 13 რიცხვში საღამოს საქართველოში მოხდა, ჯერჯერობით ერთადერთი და განუმეორებელია. თბილისის „დინამოელთა" მაშინდელ გამარჯვებას თანაბრად ზეიმობდნენ როგორც თბილისში, ისე მთელ საქართველოში.** თუ სიმართლეს ვიტყვით, ეს დიდი გამარჯვება მაშინ ქართველებთან ერთად ერთნაირად იზეიმეს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლებმა. მართლაც, რომ დაუვიწყარი და დასამახსოვრებელი საღამო გვაჩუქა დიდი მაესტროს ნოდარ ახალკაცის გაწვრთნილმა გუნდმა, ასეთი შემადგენლობით: ოთარ გაბელია, თამაზ კოსტავა, ალექსანდრე ჩივაძე, ნოდარ ხიზანიშვილი, გია თავაძე, ვიტალი დარასელია, ზაურ სვანაძე, თენგიზ სულაქველიძე, ვლადიმერ გუცაევი, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია და ნუკრი კაკილაშვილი.

# ამ ისტორიულ გამარჯვებას დავიწყება არ უწერია

აქვე მადლიერების გრძნობით უნდა ვახსენოთ „დინამოელთა" მთელი ხელმძღვანელობა, რომლებიც წლების მანძილზე სჭედდნენ ამ ნანატრ გამარჯვებას. ესენი იყვნენ: ნოდარ ახალკაცი, ნიაზ ძიაპშიპა, სლავა მეტრეველი, კახი ასათიანი, გივი ნოდია, აკაკი ხუციშვილი, ზაქარია თელია, სერგო კუტივაძე და ანზორ გაბიტაშვილი.




დღეს შეიძლება, ზოგიერთს კიდეც უკვირდეს ესოდენ დიდ წარმატებას როგორ მიაღწია თბილისის „დინამომ", მაგრამ მათ გასაგებად ვიტყვი, რომ ვიდრე თასების თასზე ფინალს მოიგებდა, გუნდმა წარმატებით იასპარეზა ევროპული ფეხბურთის ისეთ გრანდებთან, როგორებიცაა: ინგლისის „ლივერპული" და „ვესტ ჰემ იუნაიტედი", იტალიური „ინტერი" და „ნაპოლი", ჰოლანდიის „ფეიენოორდი", გერმანიის „ჰერტა" და ბრაზილიის „ფლამენგო". აღარაფერს ვამბობ რუსეთის, უკრაინისა და ბელარუსიის გუნდებზე. თბილისის „დინამოს" მაშინდელ წარმატებებზე წერდნენ ფეხბურთის ისეთი დიდი სპეციალისტები, როგორებიცაა არგენტინის ნაკრების თავკაცი მენოტი, რუსი სპეციალისტები: მიხეილ იაკუშინი და ვალენტინ ივანოვი, აგრეთვე ფეხბურთის სამყაროში აღიარებული გერმანულენოვანი ჟურნალი „კიკერი".

ფინალის სანახავად დიუსელდორფში თბილისიდან სულ 61 კაცი ჩავედით. მათ შორის იყვნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიცაა: ვაჟა აზარაშვილი, ლაშა თაბუკაშვილი, ჰამლეტ ჭიპაშვილი, ილია დათუნაშვილი, დავით ქლიბაძე, დემიკო ლოლაძე, ვახტანგ ტატიშვილი, ლერი სიხარულიძე, ომარ გოგიაშვილი, თამაზ შილაკაძე, ოთარ ჭითანავა, ჯანო ბაგრატიონი, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გოგი დემეტრაძე, ზაზა ჩიქოვანი, გურამ ფანჯიკიძე, ნოდარ გურეშიძე, ჯიმშერ ენუქიძე, ზურაბ რცხილაძე, ბორის წიფურია, ვლადიმერ ელოშვილი, ავთანდილ ჭკუასელი, მურმან გიორგაძე და ჯემალ სუხიშვილი.

თამაშის შემდეგ დიუსელდორფის ერთ-ერთ კოპწია რესტორანში გვიან ღამემდე ისმოდა ქართული მრავალჟამიერი, ჩაკრულო, ოდოია და სხვა სიმღერები. ემღერებოდათ ქართველებს და კარგადაც მღეროდნენ კიდეც. საქართველოში კი დიდი ფერხული იყო გაჩაღებული. მართლაც, რომ დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს თბილისის „დინამოელებმა". ყველაფრისათვის დიდი მადლობა მათ.

**დურმიშხან ცინცაძე**

◎ ინტერნეტიდან

## ინგლისი ფიფადან გავა?

**მას შემდეგ, რაც ინგლისმა ვერ მოიპოვა ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, იქ დაიწყო „ცივი ომი" ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის – ფიფას – წინააღმდეგ, რაც, შესაძლოა, ღია საბრძოლო მოქმედებაში გადაიზარდოს, ამისკენ მიუთითებს დიდი ბრიტანეთის სპორტის მინისტრის ჰიუ რობერტსონის განცხადება, რომ თუ საჭირო გახდა, შესაძლოა, მისი ქვეყანა გამოვიდეს ფიფადან.**

– „2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობაზე ჩვენი განაცხადის დამარცხებისთანავე მე ველაპარაკე რამდენიმე ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენლებს, – მოაქვს მინისტრის სიტყვები AP-ს, – ყველგან ერთი განწყობა სუფევს – ფიფა უნდა შეიცვალოს შიგნიდან. თუ ჩვენ ეს არ გამოგვივა, მაშინ მე განვიხილავ ყველა სხვა ვარიანტს, ყველაზე რადიკალურსაც კი.

შეგახსენებთ, რომ ყველაფერი დაიწყო ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ყოფილი თავკაცის დევიდ ტრისმანის პარლამენტში გამოსვლიდან. მაშინ მან მექრთამეობაში ბრალი დასდო ფიფას აღმასკომის ოთხ წევრს. მისი თქმით, ჯეკ უორნერმა (ტრინიდადი და ტობაგო), ნიკოლას ლეოსმა (პარაგვაი), რიკარდუ ტეიშერამ (ბრაზილია) და ვორავი მაკუდიმ (ტაილანდი) მოითხოვეს ფული ინგლისის სასარგებლოდ ხმის მიცემის ნაცვლად.

ამის გარდა, გაზეთის The Sunday Times ინფორმაციით, კამერუნელმა ისსა აიაიუტუმ და იუვარელმა ჟაკ ანუმამ მიიღეს ყატარიდან მილიონნახევარი ევრო ამ ქვეყნისათვის 2020 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მხარდასაჭერად.

ფიფას თავკაცი ზეპ ბლატერი უკვე გამოეხმაურა რობერტსონის განცხადებას, მოითხოვა ამ საქმეზე გამოძიების დასრულება 1 ივნისამდე, როდესაც უნდა გაიმართოს ფიფას კონგრესი, სადაც უნდა აირჩიონ ფიფას პრეზიდენტი.

თავის მხრივ, ფიდეს გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვალკემ ინგლისში გააგზავნა წერილი თხოვნით, წარმოადგინონ დაწვრილებით მასალები ტრისმანისა და გაზეთ The Sunday Times განცხადებებთან დაკავშირებით.

როგორც ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ თავისი პრეზიდენტის დევიდ ბერნსტაინის მეშვეობით განაცხადა, ის მზადაა, დაეხმაროს ფიფას კორუფციის გამოძიებაში.

## „ბარსელონა" ჩემპიონია

**მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის 36-ე ტურის მატჩი „ლევანტესთან" გათამაშების ლიდერმა, კატალონიის „ბარსელონამ" ფრედ – 1:1 დაამთავრა, ის მაინც გახდა ქვეყნის ჩემპიონი და უკვე მესამედ ზედიზედ „პირში ჩალაგამოავლო", თავის „დაუძინებელ მეგობარს" მადრიდის „რეალს", რომელსაც მხოლოდ ესპანეთის თასი „დაუთმო".** თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ ორი ტური დარჩა, მაგრამ „ბარსამ" 92 ქულით გასაკეთებელი გააკეთა. ახლა კატალონიელებს 28 მაისს ევროპის უმაღლესი ჩემპიონატის – ჩემპიონთა ლიგის ფინალი დარჩათ „მანჩესტერ იუნაიტედთან", თუკი „ბარსამ" ეს ზღუდეც „უემბლიზე" წარმატებით გადალახა, მაშინ ესპანელთა ზეიმს ზღვარი არ ექნება, მიუხედავად მიწისძვრით გამოწვეული დიდი მწუხარებისა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

◉ ვულოცავთ გურამ გომართელს

# მეოთხმოცე შეხვედრა ვარდობისთვესთან



ვისხედით მე და გურამ გომართელი, „ვჭუკჭუკობდით“ და უცებ მისი უმცროსი ვაჟიშვილი დათო არ შემოგვიერთდა!.. ცნობილი საესტრადო მომღერალი, კაი ყმა... გაიბადრა გურამი, როგორ მოიცალე ჩვენთვისო... დაგხედით უბრალოდ, გავრბივარო, დათომ.

მოვიკითხეთ ერთმანეთი. დავით გომართელს „სანოსტუდიაში“ ახლახან დაუმთავრებია რიგით მეცხრე ალბომის ჩაწერა. იგი მომღერლის 50 წლისთავს ეძღვნებოდა და „ქართული ეთნოკოდი“ ჰქვია. ალბომში შევიდა 12 ძველი და ახალი სიმღერა – მსმენელისათვის ასე მახლობელი ქალაქური ჰანგები და თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები. აბა, ახლა უნდა მაპატიოთო, მოიბოდიშა დათომ, დაგვლოცა და კეთილი ღიმილი დაგვიტოვა...

ვრჩებით „ბებრები“... ღმერთმა მომავლის იმედი არ მოგვიშალოსო, გურამმა, ერთი იცოდე, რა გოგონა ჰყავს დათოს, გადაგვრია მე და ჩემი მეუღლე დოდო, დარიამო, ჩავიხუტეთ შვილთაშვილიც – უფროსი ვაჟიშვილის ზაზას, ზაზულიო... ვლოცავთ მომავალს... საერთოდ, ხვალინდელი დღის, მომავლის იმედით ცოცხლობს გურამ გომართელი, თუმცა ვისაც მისი ახალგაზრდობა ახსოვს (ასეთები კი, სამწუხაროდ, უკვე ბევრნი აღარ არიანძ, არ გაუკვირდება, რომ გურამის იმედიან ხასიათს სევდა ცვლის ხოლმე, სევდა გაფრენილი სიჭაბუკისა, ახალგაზრდული სიგიჟმაჟისა. საერთოდ, სიბერე, აბა, რა სასიხარულოა, მით უმეტეს, თუ მთელი ცხოვრება თავისუფლად გაგიტარებია, არც არავის ყმა ყოფილხარ, არც არავინ ყმად გყოლია, თბილისში ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქელი იყავი, პროფესიაშიც – ჟურნალისტობაში ტოლს არავის უდებდი, არც საქმაკაცოსთან ურთიერთობა და არც დაშხოშიანი დროსტარება გეშლებოდა... ერთხელაც, ზედმეტსახელად, რაღაც მომენტის გამო, „კოია“ შეარქვეს მეგობრებმა, რაც დღემდე შერჩა (ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გაიხსენეთ – „კოია ხარ?“ძ.

ასე მიდიოდა დრო, მიდიოდნენ და გულში სევდას უტოვებდნენ ძმაკაცები – ასტამურ აჩბა, დოდო აბაშიძე, კოტე ქორიძე... გურამ ლორთქიფანიძის – „ლორთქიას“ წასვლამ ხომ საერთოდ გული ჩასწყვიტა...

...გურამ გომართელმა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთში თუ ტელევიზიაში მუშაობისას გამორჩეული ჟურნალისტის სახელი დაიგდო, ხოლო „საქართველოს რესპუბლიკაში“ რომ შემოგვიერთდა, ერთ ოთახში ვისხედით და, ბიჭოს, ნელ-ნელა თავისი ლექსები არ გამაცნო! ზოგი ადრე შექმნილი, ზოგიც იქვე, სამსახურში დაწერილი. ნიჭიერება, გემოვნება და დღევანდელობით ჩაფიქრება ახლდა ამ სტრიქონებს, ხშირი იყო აქ წინაპრის, მშობლიური გორისის გახსენებაც... თანდათან დაიბეჭდა ეს ლექსები, ცხადია, უპირველესად, ჩვენს გაზეთში, მერე ცალკე წიგნადაც გამოსცა, და მკითხველის მოწონებაც დაიმსახურა. შეიძლება თქმა, რომ გურამმა „დაამსხვრია“ გოგლა ლეონიძის ფრთიანი გამოთქმის აზრი – „სიჭაბუკე და ლექსი ერთია“ – მან სიჭარმაგეში შექმნა შესანიშნავი პოეტური სტრიქონები. და აი, თავისი დაბადების 80 წლისთავის კვირაძალზე კიდევ ერთი კრებული – „სიმღერამ გამაძლებინა“ – შემოგვთავაზა, რომლის შესავალშიც ჩვენი ჯანსულ ჩარკვიანი წერს: „ადრე პოეტად არ ვიცნობდი, მაგრამ სული პოეტური ჰქონდა და მისი ნიჭი და ბრწყინვალება, მამულიშვილობა და სიყვარული ღვთითმოფენილი გახლდათ, ამაში დარწმუნებული ვიყავი... ბოლოს ქარქაშიდან ამოილო ხმალი პოეტური და რითმის ზარს შემოჰკრა – დიახ, ბოლოსკენ, თანაც აკაკის გზით და აკაკის სიყვარულით“.

...ჰოდა, რა ჯობს თუ ამხნის კაცი დღესაც ქართულ სიტყვასთან ურთიერთობით სულდგმულობს, ლექსის სტრიქონს დაჰფოფინებს...

დიდხანს არ მოგკლებოდეს ეგ სიამოვნება, ჩვენო გურამ, იცოცხლე, მეოთხმოცე ვარდობისთვეს გილოცავ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ ორ ლექსს გურამ გომართელის ახალი კრებულიდან: „სიმღერამ გამაძლებინა“.**

---

## „დავბერდი? – არა!“

ო, როგორ მიტევს თეთრი სიბერე,
მემუქრება და მუშტებს მიღერებს,
მე დამადუმა, თვითონ ღიღინებს,
საქვეყნოდ ჰყვება, რასაც მიპირებს.
ჩემსას არ ვიშლი, მზისკენ მივიწევ,
ყველა ავსიტყვას უმალ ვივიწყებ.
არცა ვტყდები და არცა ვლონდები,
ისევ ჩავიცვამ შინდისფერ პერანგს,
ბიჭებს ვერაზე დაველოდები!

2004 წელი

## აცდენილი გაზაფხული

წელს გაზაფხული ისე მობრძანდა,
ვერ შევეგებე ხელებგაშლილი,
ვერ დავესწარი სპექტაკლს, რომ დგამდა
ტაბახმელაზე თეთრი აპრილი.
ძუძუს ბატკანი ვერ დავახვედრე.
ვერ გავუშალე მწვანეზე სუფრა,
ვერ მივუჯექით ბიჭები ტაბლას,
გავლილ დღეებზე, რომ გვესაუბრა.
ჩვეულ ადგილას ნაყიდი ია
ვერ დავიბნიე ცისფერ პერანგზე,
არც შაშვის სტვენა არ გამიგია,
ალბათ, მეძებდა სადმე, ვერაზე.
ჩემთვის საფიცარ ყრუ საფლავებზე,
წითელი კვერცხი ვერ გავაგორე,
ჰანგი, ნამღერი ტკბილ საკრავებზე,
ვისაც ვუმღერდი, ვერ გავაგონე.
...და მაინც მჯერა, იმედიან დღეთა სიმრავლის,
კაცს, რომ აკაჟებს, შეუძახებს, სწორედ იმგვარის,
გული იგულებს, დაუღლელად იძგერებს მკერდში,
„ისევ მოვაო გაზაფხული!“ – მღერიან ჩვენში.

2008 წელი.

◉ მკითხველის ლექსი



## სამშობლოსათვის, მანდილისათვის...

**ოთხი წლის შვილიშვილს**

იარე ისე,
რომ ცხოვრებაში,
არც შენ ინანო,
არც სხვას ანანო;
გახსოვდეს რომ ხარ
სიხარულიძე,
სიხარულიძე,
ანა, ანანო!

უძველესი და,
ასე დიადი, –
გიყვარდეს შენი,
ენა მამული:
ქართული ოფლით,
ქართული სისხლით,
ქართული ცრემლით
გადანამული.

ჩვენი წესი და,
ჩვენი ადათი, –
შორს გაიყოლე,
გჯეროდეს მისი;
შენი იკმარე,
თუნდაც მცირედი,
არ მიითვისო
ნამცეციც სხვისი.

ბულბულის ენით,
ტკბილი ქართულით,
გვასმინე მუდამ,
საღვთო გალობა;
სამშობლოსათვის,
მანდილისათვის,
ბრწყინავდეს შენი
ქართველქალობა!

**ავთანდილ სიხარულიძე**

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებას გამოთქვამენ და სამძიმარს უცხადებენ მარინა კანდელაკს დედის

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეები სამძიმარს უცხადებენ მარინა კანდელაკს დედის

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

ნანული (ნანაძ გუნია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს მარინა კანდელაკს დედის

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

გიორგი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს მარინა კანდელაკს დედის ქალბატონ

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

მერვედი კუპრავა ოჯახით თანაუგრძნობს მარინა კანდელაკს დედის ქალბატონ

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

მევლუდი დუნდუა ოჯახით თანაუგრძნობს მარინა კანდელაკს დედის ქალბატონ

შურა სამსონაძე-კანდელაკის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გრიგოლ თოდუა

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---



დოდო, გოგა, მაია სეხნიაშვილები, დათო მეძმარიაშვილი, მარინა ჟორჟოლიანი, ხათუნა ჟორდანია, ნუნუ და მზია გაბაშვილები, დიმა, ინა, მარინა გრიგოროვები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლარისა სეხნიაშვილი

დაკრძალვა 14 V, 15 სთ. გამოსვენება პეკინის №23 II სადარბაზო. ბინა 23.

---

**გახსენება**

## ფლორიდა მელიას მონატრება



უკვე მეორედ ვხვდებით უშენოდ შენს დაბადების დღეს. 16 მაისს ხომ შენი დაბადების დღეა. მოსიყვარულე და მზრუნველი იყავი შენი ოჯახისთვის და შვილებისთვის. ყველას მოაკლდა შენი სითბო და მზრუნველობა, რომელსაც ერთნაირად უნაწილებდი შენს შვილებს, მშობლებს და ყველა ახლობელს. გვენატრები და გილოცავთ, ნათელში გამყოფოს ღმერთმა.

შენი შვილები

## შოთა ქუთათელაძის ხსოვნას



15 მაისს შენ 100 წლის გახდებოდი. ბედნიერი ვიყავით ყველანი ერთად რომ ვიყავით. შენი გარდაცვალების შემდეგ დედაც მალე გარდაიცვალა.

მუდამ ენერგიულს, სიცოცხლითა და ხალხისით სავსეს გიცნობდნენ ნათესავები და მეგობრები. შენ საოცრად მოსიყვარულე და თბილი ადამიანი იყავი ოჯახისათვის, შვილები და შვილიშვილებისათვის და ყველა ახლობლისათვის და მუდამ ასეთი დარჩები ჩვენს გულებში.

ღმერთმა ნათელში გამყოფოს.

შვილი და შვილიშვილები

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## სულიერება

# თამარობას გილოცავთ!



**14 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია თამარობას დღესასწაულობს. კეთილმორწმუნე მეფე თამარი ქართველ ბაგრატოვანთა შორის გამორჩეული გვირგვინოსანი, „მზეთა მზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა შორის უმეტესად აღმობრწყინებულად“ წოდებული საქართველოს ერთადერთი პატრონი და მბრძანებელი გახდა...**

...ღვთივკურთხეული მეფის ცხოვრება ძალიან ემსგავსებოდა მენელსაცხებლე დედათა ცხოვრებას.

თამარის მეფობისას დაიწყო დიდი აღმშენებლობა... მის დროს უამრავი ომი მოიგეს ქართველებმა; ბრძოლის დაწყების წინ მეფე ღვთისმშობელს ავედრებდა ქართველთ მხედრობას, ღმერთი შეისმენდა თამარის ცრემლიან ლოცვას და...

თამარ მეფემ ააშენა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, ქვაბთახევი, ბეთანია... მან გაამდიდრა საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარე ეკლესია-მონასტრები, ლავრები და სავანეები.

ამ რამდენიმე წლის წინათ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია II პარიზში საქართველოს ეკლესიის დელეგაციას უხელმძღვანელა და იქ, თამარ მეფის ხსენების დღეს, ქართული ეკლესია საზეიმოდ გახსნა, რომელიც ამიერიდან საქართველოს იურისდიქციაში შედის.

ხოლო 2011 წლის 16 იანვარს ათონელი მამების მიერ დაწერილი თამარ მეფის ხატი ყოვლადწმინდა სამების ეკლესიას შესწირეს, რომელიც მთელ საქართველოს მოივლის.

**გიული ლიპარტია**

## დაიჯესტი



### დაუმთავრებელი ომი

**ლიხტენშტაინის მთავარმა არქივარიუსმა საშინელება აღმოაჩინა: თურმე ავსტრიასა და შვეიცარიას შორის მდებარე ჯუჯა, 15-ათასიანი ქვეყანა დღესაც... პრუსიასთან ომობს! საქმე ის არის, რომ 1886 წელს ლიხტენშტაინი პრუსიის წინააღმდეგ ომში ავსტრიის მხარეს ჩაება და 66-კაციანი ჯარიც გამოიყვანა.** მოგვიანებით პრუსიამ ავსტრიასთან სამშვიდობო ზავს მოაწერა ხელი, ხოლო ლიხტენშტაინთან ამის გაკეთება დაავიწყდა... თავად ლიხტენშტაინელებს პრუსიასთან მშვიდობიანი თანაარსებობის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ, ოღონდ უბედურება ის არის, რომ 1947 წლიდან მოყოლებული პრუსიის სახელმწიფო აღარ არსებობს!

### მგზავრობის დროა ერთი საათი

**საბაგირო გზები მსოფლიოს მთიან რეგიონებში ხშირად ყველაზე მოსახერხებელი სატრანსპორტო საშუალებაა**



**ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადასაყვანად.** ამიტომაც არის, რომ მსოფლიოში უამრავი საბაგირო გზაა, რომელთაგან ყველაზე გრძელი და მაღალი – მას „ტელეფერიკო მერიდა“ ეწოდება – სამხრეთ ამერიკაში, ანდების ქალაქ მერიდაშია, რომელიც მას პიკო ესპეროსთან (სარკისებრ მწვერვალთანძ აკავშირებს. მისი ქვედა სადგური ზღვის დონიდან 1639 მეტრზეა, ხოლო ოთხსაფეხურიანი სვლაგეზის შემდგომ 4783 მეტრის ნიშნულზე სრულდება. ამდენად, ადვილი გამოსათვლელია, რომ საბაგირო გზა, რომლის თითოეული ვაგონის 45 მგზავრი ერთი საათის განმავლობაში გადაჰყავს, 3124 მეტრის სიმაღლეს ფარავს.

### „რადიატორი“ რქები



**რისთვის სჭირდებათ ცხვრებს, ხარებს, ირმებსა და სხვა წყვილჩლიქოსნებს რქები? სავარაუდო პასუხია – თავის დასაცავად, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, რქები მარტო იარაღი სულაც არ არის.** ზოოლოგებმა დაადგინეს, რომ რქებში უამრავი სისხლძარღვი გადის. როცა ცხელა, რქებში სისხლის მიწოდება იზრდება და სისხლძარღვები ჭარბ სითბოს ჰაერში გასცემენ. ხოლო როცა ტემპერატურა იკლებს – სისხლძარღვები ვიწროვდება და ამით ძვირფას კალორიებს ზოგავენ.

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● იაპონური ჭიდაობა სუმო სპორტის ის სახეობაა, რომელშიც გამარჯვებულს უფლება არა აქვს წარბის შერხევითაც კი გამოხატოს გამარჯვების სიხარული.

● ლონდონის ქუჩებზე მდებარე სახლებს მე-18 საუკუნემდე ნომრების მაგივრად სხვადასხვა ცხოველს ან ფრინველს ახატავდნენ.

● კალიფორნიის შტატის ქალაქ ლაფაეტში კანონით ისჯება ის, ვინც სხვა ადამიანზე ერთ მეტრზე ნაკლებ დაშორებით გადააფურთხებს.

● საფრანგეთში, ბულგარეთსა და ინგლისში შავი კატის ჩუქება დიდი პატივისცემის ნიშანია.

● რომში დგას იმპერატორ ტიტუსის ტრიუმფალური თაღი, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 81 წელს აღიმართა. ის უამრავ ტურისტს იზიდავს, მაგრამ ებრაელი ტურისტები მას ახლოსაც არ ეკარებიან, რადგანაც ის იერუსალიმის აღების აღსანიშნავად აიგო.

● ჰეროდოტეს გადმოცემით, ბაბილონში თუ ვინმე ავად გახდებოდა, ოჯახის წევრებს ის ბაზარში მიჰყავდათ, რომ გამვლელ-გამომვლელებისგან რჩევები მიეღოთ.

● მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანელი ჯარისკაცი სანამ მეთაურს მოახსენებდა მომხდარის შესახებ, კარგად გამოძინებული უნდა ყოფილიყო.

● არაბები იმ ქალებს, ვისაც არა ჰყავთ ვაჟი, „ქარის დედებს“ უწოდებენ.

● ინგლისის დედოფალი ელისაბედ II 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა, მაგრამ ინგლისელები მონარქის დაბადების დღეს ტრადიციულად ივნისის მეორე შაბათს აღნიშნავენ, რადგანაც ნისლიან ალბიონზე ამ დროს ყველაზე კარგი ამინდია.

● დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ავტომანქანა „ვოლგას“ „მერსედეს-ივანს“ უწოდებენ.

მოგვაწოდა
ტიტე
კოპალეიშვილმა



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6575 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4470 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7299 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0637 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.4715 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0947 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0809 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0833 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5513 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +22 |
| ქუთაისი. | +16 – +23 |
| ბათუმი. | +14 – +20 |
| ზუგდიდი. | +16 – +23 |
| თელავი. | +14 – +22 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხით და ზომიერი ფასებით.
868 838 858

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

– რაიმე ძლიერი და საიმედო ტკივილგამაყუჩებელი საშუალება არა გაქვთ? – ეკითხება პატარა მიხო აფთიაქარს.

– კი, მაგრამ რა გტკივა, ბიჭუნა?

– ჯერ არაფერი, მაგრამ მამაჩემი უკვე წავიდა მშობელთა კრებაზე.

* * *

– ამბობენ, ერთჯერადი სექსი ასმეტრიანი დისტანციის გარბენის ტოლფასიაო.



– რას ამბობ, კაცო! 7-8 წამში ას მეტრს ვერაფრით ვერ გავირბენ.

* * *

გამნაღმველი ერთხელ ცდება თავის ცხოვრებაში, ქირურგიც ერთხელ ცდება, ოღონდ... თქვენს ცხოვრებაში.

* * *

– რატომ აწერენ მხატვრები ხელს მარჯვენა ქვედა მხარეს?

– იმიტომ, რომ მყიდველმა ის შეამჩნიოს და ნახატი თავდაყირა არ ჩამოკიდოს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24